ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 28 იანვარი, 2019 | №22 (7877) | ფასი: 60 თეთრი

თერჯოლასთან ლევან დალაქიშვილმა პოლიციის მანქანა ჩაცხრილა

გვ.7



რა მოხდა 5 იანვარს

24 იანვრიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

მყუდრო აგარაკის საიდუმლოება

ქართული დეტექტივი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

„ივანიშვილმა კალაძეზე შური იძია“

დიმიტრი ბიძინაშვილი:

„თბილისის მერი როგორც კი დამოუკიდებლად დაიწყებს თამაშს, მას ოლიგარქი ეგრევე თავში ჩაარტყამს“

გვ.3

„ოცნება“ ირაკლი ალასანიას ყოფილ თანაპარტიელს წარადგენს

სანდრა რულოვსი ზუგდიდის მერობისთვის იბრძოლებს?

გვ.5

გია ხუხაშვილი: „ივანიშვილი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ყველას ვალში ჩავარდა“

გვ.2

ხათუნა ლაგაზიძე:

„დასავლეთი აიძულებს „ოცნებას“, ახლავე გადავიდეს პროპორციულ არჩევნებზე“

გვ.4

სუსმა ვაკის რაიონის გამგებლის მოადგილე და წყალტუბოს საკრებულოს თავმჯდომარე დააკავა

გვ.7

სამართალი

„თამარ მოდებაძეს ვეჩხუბე, ტილოები დავუხიე და მძინარე დავტოვე“

გვ.7

რას ყვება ქალი, რომლის სახლშიც ქართველი მხატვარი გარდაცვლილი იპოვეს



კანადაში ქართველი ქალი თანამშრომელმა მოწამლა

ბათუმში საბაზანოში ხელფეხშეკრული ახალგაზრდა აღმოაჩინეს

ეკონომიკა

გვ.6

კალაძემ მერიის შტატგარეშე თანამშრომლებს დეპუტატებზე მაღალი ანაზღაურება დაუნიშნა

„სილქნეტისა“ და „ჯეოსელის“ აბონენტებს ტარიფი 1-ლი მარტიდან აღარ გაუძვირდებათ

კომერციული ბანკების მიმართ პრეტენზიები 127%-ით გაიზარდა

ISSN 1987-9385

2 გალში კარანტინსა და უპასპორტობას აპროტესტებენ

5 ჯელალ ქიქავა: „სააკაშვილის დაბრუნების დრო ჯერ არ დამდგარა“

4 დავით ქაცარავა: „რუსეთი ხაშურის ტერიტორიაზე მდებარე ტალკის საბადოების მიტაცებას გეგმავს“

8 გერმანიამ, საფრანგეთმა და ესპანეთმა მადურო ულტიმატუმი წაუყენეს

გია ხუხაშვილი: „ივანიშვილი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ყველას ვალში ჩავარდა“

„ბესელია 6 წელი მშვენივრად იტანდა მურუსიძესაც და ჩინჩალაძესაც“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გია, ბიძინა ივანიშვილთან გამართული ორდღიანი შეხვედრის შემდეგ ელოდით მოვლენების ასე დასრულებას?

– „ქართული ოცნება“ ერთი კაცია. იქ არავის აქვს საკუთარი თამაშის დაწყების პოლიტიკური კაპიტალი. კომფორტის ზონიდან გამოსვლა არც არავის უნდა. დამოუკიდებლად რა უნდა აკეთონ?! ერთი პრემიერი, მეორე პრემიერი, ახლა დეპუტატები ვის რაში სჭირდება?! ვიღაცა თუ წიხლით არ გააგდებს, არც არავინ წამოვა თავისი ნებით. „ქართული ოცნების“ პოზიციაა – პრინციპები კარგია, მაგრამ არა – კეთილდღეობის ხარჯზე.

ჩინჩალაძე სად იყო აქამდე?! შემთხვევით ეს 6 წელი იქ ხომ არ იყო?! მეთოფიშვილი სად იყო აქამდე, ხომ არ იცით?!

– ბოლო საკონსტიტუციო ცვლილებით არის ამ ხალხის უვადო მოსამართლეობა გარანტირებული.

– დიახ, სწორედ ამას გეუბნებით. ამიტომ შიდა პოლიტიკური გადანაწილების კატალიზატორი აღმოჩნდა „პრინციპები“. თავიანთი პატარა პოლიტიკური ჭია რომ გაახარონ, ამისთვის მიმდინარეობს ბრძოლა, მეტი არაფერი.

– თუ ეს ადამიანები იტყვიან, ჩვენ მოვიგეთ ეს ბრძოლა, რისთვისაც ვიბრძოდით, ის მივიღეთო?

– რა ბრძოლა?! მითხარით, რა იცვლება ამ სახელმწიფოსთვის, „ქართულ ოცნებას“ დატოვებს ბესელია თუ არ დატოვებს?!

სასამართლოს გაჯანსაღებისთვის ბრძოლა ჩვენი ბრძოლაა, რომელიც 2013 წელს დავიწყეთ. ტერმინი „კოლექტიური მურუსიძე“ თქვენი მონა-მორჩილის დამკვიდრებულია, მაგრამ მე არ ვამბობ, რომ ჩემი დამსახურებაა რამე. ბევრად მეტი დამსახურება აქვს ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოებას, პირველ რიგში, ანა დოლიძესა და ნაზი ჯანეზაშვილს. ეს ადამიანები არიან ამ საქმის მედროშეები. ჩვენ, საზოგადოებამ, ზეწოლით უნდა ვაიძულოთ ხელისუფლება, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღოს სახელმწიფოს სასარგებლოდ.

ეს არ არის ბესელიას ბრძოლა, ეს ჩვენი, საზოგადოების ბრძოლაა, რომელსაც ტაქტიკური მოსაზრებების გამო შემოუერთდა ბესელია. კი ბატონო, ცუდი არ არის, მაგრამ არც ბესელია და არც ფოფხაძე არ არიან ამ საქმის მედროშეები. მთელი 6 წელი მშვენივრად იტანდნენ მურუსიძესაც და ჩინჩალაძესაც.

– ამ ეტაპისთვის ბიძინა ივანიშვილმა უკან დაიხია?

– დღეს ივანიშვილის ამოცანა ძალაუფლების შენარჩუნებაა, ამიტომ ის ფასადურ ერთიანობას ინარჩუნებს. „ქართული ოცნება“ იმ ოჯახს ჰგავს, რომელშიც ცოლ-ქმარი ერთმანეთს ვერ

> „ქართული ოცნება“ იმ ოჯახს ჰგავს, რომელშიც ცოლ-ქმარი ერთმანეთს ვერ იტანს, მაგრამ, პრაგმატული მოსაზრების გამო, ერთად ცხოვრობენ“

იტანს, მაგრამ, პრაგმატული მოსაზრებიდან გამომდინარე, ერთად ცხოვრობენ. ასეთი მოცემულობა გვაქვს.

ბიძინა ივანიშვილმა მანკიერი შენობა ააშენა, რომლის დანგრევის საფრთხე დღეს ყველაზე მეტად დგას. ამიტომ ის ახლა ცდილობს, ეს შენობა სადღაც გაამაგროს, სადღაც რაღაცა შეუდგას, მაგრამ ეს ჩემთვის საერთოდ არ არის საინტერესო, რადგან დღეს თუ ხვალ ეს შენობა აუცილებლად ჩამოინგრევა.

გულწრფელად გეტყვით, ამისთვის ივანიშვილი არ მემეტება. როდესაც ადამიანებს არაფერი აერთიანებთ, ისინი, ბოლოს და ბოლოს, იშლებიან.

– წერილში, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა ამ საკითხთან დაკავშირებით გამოაქვეყნა, მან ახლების მხარე დაიჭირა. დღეს ივანიშვილი ამ პოზიციის შეცვლას ცდილობს?

– დიახ, დღეს ივანიშვილი მანევრირებს. ის ახალგაზრდებიც გარკვეული ინსტრუმენტია მისთვის, როგორც დანარჩენები. რა თქმა უნდა, მას აღიზიანებს, ძველი გვარდიის წინაშე ვალში რომ ჩავარდა არჩევნების დროს. მისთვის ბევრად უფრო კომფორტულია ახალგაზრდულ ფრთასთან მუშაობა, რომლებიც ბიძინა ივანიშვილთან არიან ვალში და არა – პირიქით. ამიტომ მათთან მუშაობა ბევრად უფრო კომფორტულია, მაგრამ ის მაინც მანევრირებს იმისთვის, რომ იქამდე არ დაიძაბოს სიტუაცია, რომ დროზე ადრე ჩამოიშალოს ყველაფერი. ეს არის და ეს.

იმ აზრისგან შორს ვარ, რომ ეს ახალგაზრდები საყვარელი შვილები არიან. როგორც კი დასჭირდება, მათაც ისე გაწირავს, როგორც ეს ძველები გაწირა. ისინი არიან ინსტრუმენტები ჩემთვის ძალიან გაუგებარ თამაშში.

ბიძინა ივანიშვილის მთელი ნარატივი არის ის, რომ ყველა მასთან ვალშია, მას კი არავისი ვალი არ აქვს. ეს მისი ფილოსოფია საპრეზიდენტო არჩევნებმა დაანგრია და გეტყვით, რატომ: მას დასჭირდა დახმარება, დახმარება ძველი გვარდიის, საზოგადოების, ხალხის, ფაქტობრივად, ის ყველას ვალში ჩავარდა.

ამიტომ ის მოცემულობა, რომ ყველა მასთან იყო ვალში, უცბად შეიცვალა. ახლა ის არის ვალში. ერთადერთი, ვისი ვალიც ივანიშვილს არ აქვს, კობახიძეა. ამიტომ კობახიძესთან ურჩევნია ურთიერთობა, რადგან ეს ბევრად უფრო მარტივია.

გალში კარანტინსა და უპასპორტობას აპროტესტებენ

ოკუპირებული აფხაზეთის სახალხო დამცველი ქართველების პრობლემების მოგვარებას მოითხოვს

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ წერდა, რომ ღორის გრიპის საბაბით საოკუპაციო რეჟიმმა ორმხრივი მოძრაობა აკრძალა ენგურის ადმინისტრაციულ ზოლზე.

კარანტინი 10 იანვრიდან 2 თვით გამოცხადდა. იმის გამო, რომ მანამდე ხაჯიმბამ გააუქმა სხვა გამშვები პუნქტები, ენგურის საკონტროლო-გამშვები პუნქტი, ფაქტობრივად, ერთადერთი ადგილია, საიდანაც აფხაზეთში მცხოვრები ადამიანები ენგურგამოღმა გადმოდიან.

მიმოსვლის მიზეზი ბევრია – მკურნალობა, მუშაობა, სწავლა, პროდუქტების შეძენა, ასევე პენსიებისა და შემწეობების მიღება. ყველაზე ხშირად ენგურზე გალის მოსახლეობა მოძრაობს.

ორი კვირის განმავლობაში ამ ადამიანებმა ამტანობა გამოიჩინეს, მაგრამ ბოლოს მოთმინება მრავალჭირნახულმა გალელებმაც დაკარგეს და გალის ადმინისტრაციის შენობის წინ სახელდახელო საპროტესტო მიტინგი მოაწყვეს.

მიტინგები გალელებს ადრეც გაუმართავთ, მაგრამ წინათ აქციები შეთანხმებული და სანქცირებული იყო. ამჯერად მოსახლეობის პროტესტი მოულოდნელი აღმოჩნდა რაიონის გამგეობისთვის.

გამგებლის ერთ-ერთმა მოადგილემ შეკრებილებიდან 5-კაციან ჯგუფთან შეხვედრის მზადყოფნა გამოთქვა, რაზეც აქციის მონაწილეებმა უარი თქვეს. მოგვიანებით მომიტინგეების მრავალრიცხოვან ჯგუფს სააქტო დარბაზში გამგებელი თემურ ნადარაია შეხვდა.

ადმინისტრაციის უფროსს ეცნობა, რომ კარანტინის გამო დაბრკოლდნენ მძიმე ავადმყოფები, ახალგაზრდები, რომლებიც ენგურგამოღმა სწავლობენ, ასევე ის მცხოვრებლები, რომლებიც აქეთ პენსიებსა და შემწეობებს იღებენ და ვაჭრობენ. კარანტინის გამო შეიქმნა პირველადი მოხმარების პროდუქტების დეფიციტი. საქონელზე ფასები ავარდა.

ბუნებრივია, რომ გალელების ამ პრეტენზიებს მათი ზოგადი უუფლებო მდგომარეობის საკითხი მოჰყვა.

2016 წლიდან აფხაზეთში მცხოვრები ქართველები, ფაქტობრივად, უსტატუსოდ დარჩნენ. აფხაზეთის პასპორტები, რომლებიც მათ ანქვაბის დროს დაურიგეს, უკანონოდ გამოცხადდა. აფხაზეთის ახალ პასპორტებს მათ არ აძლევენ იმ საბაბით, რომ მათ ოკუპირებული აფხაზეთის ან რუსეთის მოქალაქეობა არ აქვთ.

ცოტა ხნის წინ გალის გამგებელი, იმის მაგივრად, რომ წინა წლის შედეგების შეჯამებისას პრობლემები გაკვრით მაინც ეხსენებინა, წარმატებებზე საუბრობდა.

გალელების აქციას გამოეხმაურა ოკუპირებული აფხაზეთის სახალხო დამცველი ასიდა შაკრილი.

დე ფაქტო პრეზიდენტის რწმუნებულმა ადამიანის უფლებათა საკითხებში საოკუპაციო რეჟიმი გააკრიტიკა.

მისი თქმით, ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვის გამო გამოცხადებული კარანტინი არ უნდა აუარესებდეს იმ ადამიანების მდგომარეობას, რომლებსაც ჯანმრთელობის პრობლემები უკვე შეექმნათ. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს იმ ხალხს, რომლებიც უსახსროდ დარჩნენ საკონტროლო-გამშვები პუნქტის დახურვის გამო.

ასიდა შაკრილი შენიშნავს, რომ აფხაზეთის ხელისუფლება პირველად წააწყდა ასეთ მწვავე რეაქციას მოსახლეობის მხრიდან.

მისი აზრით, ხელისუფლებას შეეძლო, მოეხდინა მიმოსვლის შეზღუდვისგან გამოწვეული ნეგატიური მოქმედების მინიმიზაცია და გაეთვალისწინებინა იმ ადამიანების მოთხოვნილებები, რომლებსაც ესაჭიროებათ მიმოსვლა მკურნალობის, სწავლის, შემწეობის ან პენსიის მიღების მიზნით.

სახალხო დამცველის სიტყვებით, გაურკვეველია გალში მცხოვრები ადამიანების სამართლებრივი სტატუსი და დოკუმენტების მდგომარეობა. როცა მათ პასპორტები დაურიგეს, მხედველობაში მიიღეს ამ ხალხის ისტორიული წარსული და ომის შემდგომ შექმნილი რთული მდგომარეობა.

მისი დასკვნით, გალელების პრობლემები გროვდება, მათი მოუგვარებლობა კი აუარესებს ადამიანის უფლებათა მდგომარეობას აფხაზეთში.

სახალხო დამცველმა ხელისუფლებას გალის მოსახლეობის პრობლემების გრძელვადიანად და სამართლიანად გადაჭრისკენ მოუწოდა.

საქართველოს მთავრობამ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია დაამტკიცა

საქართველოს მთავრობამ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია დაამტკიცა. დოკუმენტი საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილმა უწყებათაშორისმა მუდმივმოქმედმა კომისიამ მოამზადა. კომისიას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური თავმჯდომარეობს და მის შემადგენლობაში არის ყველა რელევანტური სახელმწიფო უწყება.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნულ სტრატეგიაში წარმოდგენილია ტერორიზმისა და ექსტრემიზმის კუთხით ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეები და გამოწვევები, ასევე მათთან გამკლავების მიმართულებით სახელმწიფოს ერთიანი ხედვა, მისი მიზნები და ამოცანები. სტრატეგია სამწლიანია და მისი განხორციელების მიზნით ასევე შემუშავდა შესაბამისი სამოქმედო გეგმა.

სტრატეგიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახელმწიფო უწყებების მიერ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ტერორიზმთან, ექსტრემიზმთან და რადიკალიზაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს, ასევე კონტრტერორისტული ხედვის ფარგლებში უპირატესობა ენიჭება პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას.

საქართველოს მთავრობისთვის წარდგენამდე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა ექსპერტებს, სამოქალაქო სექტორისა და სახალხო დამცველის წარმომადგენლებს დოკუმენტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს.

სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების პროცესში, სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის: აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, ფინეთის, ჰოლანდიის, ბელგიის, საფრანგეთის, გერმანიის და სხვა ქვეყნების გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა. გარდა ამისა, სტრატეგიის მომზადების პროცესში გათვალისწინებულ იქნა სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტი.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ივანიშვილმა კალაძეზე შური იძია“

შორენა მარსაგიშვილი

დიმიტრი ბიძინაშვილი: „თბილისის მერი როგორც კი დამოუკიდებლად დაიწყებს თამაშს, მას ოლიგარქი ეგრევე თავში ჩაარტყამს“

დაიწყო თუ არა ხელისუფლებამ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, რა ხდება სინამდვილეში, რა გაუბედა ივანიშვილს კალაძემ? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წარმომადგენელი დიმიტრი ბიძინაშვილი ესაუბრება.

– ვაკის გამგებლის დაკავებას მეოცნებეთა შორის დიდი ამბები მოჰყვა – კორუფციის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლაო. ამ დაკავებამდე ერთი დღით ადრე სუსმა წყალტუბოს საკრებულოს თავმჯდომარე დააკავა. მართლა დაიწყეს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა?

– ეს დაკავებები მოჩვენებითია და შიდაპარტიულ გარჩევებს უკავშირდება. ამათ მართლა რომ სდომებოდათ კორუფციასთან ბრძოლა, ვაკის რაიონის გამგებლის მოადგილეს რამდენიმე წლით ადრე დააკავებდნენ. ჯერ კიდევ 2014 წელს იყო გაცხადებული, რომ ეს ადამიანი უამრავ კორუფციულ სქემაში იყო ჩართული. მის საქმიანობაზე ოპოზიცია და არასამთავრობები ხშირად საუბრობდნენ, მაგრამ „ქართულ ოცნებაში“ ამაზე ყური არავინ შეიბერტყა.

მმართველმა პარტიამ მხოლოდ ამ დღეებში აღმოაჩინა, რომ ამ ადამიანმა აიღო ქრთამი. შიდა დაპირისპირება რომ არ ყოფილიყო, ამ ქრთამის აღებაც ისე ჩაივლიდა, როგორც სხვა კორუფციულმა გარიგებებმა ჩაიარა.

– უკვე ორჯერ ახსენეთ შიდა დაპირისპირება, რას გულისხმობთ? რას იყოფენ ან ვერ იყოფენ „ოცნებაში“?

– რა ხდება და მიმდინარეობს ძალაუფლების გადანაწილება. „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ჩამოშლილი და თავიდან ბოლომდე კორუმპირებულია. მეოცნებეებმაც კარგად იციან, რომ კორუფციაში არიან ჩაფლული, მაგრამ ამაზე თვალს ხუჭავენ.

ხმას ერთადერთ შემთხვევაში იღებენ, როცა კორუმპირებული ჩინოსნის დაჭერა სჭირდება საქმეს ან რომელიმე კონკრეტულ ადამიანს.

– რას გულისხმობთ?

– კორუმპირებულებზე ნადირობა იწყება მაშინ, როცა რომელიმე მაღალჩინოსნის რეიტინგი ვარდება. ამ შემთხვევაში რეიტინგი ბიძინა ივანიშვილს დაუვარდა. შემცირდა მისი გავლენებიც.

მისი რეიტინგის ვარდნის ფონზე „ოცნების“ ერთ-ერთი ფრთა საგრძნობლად მოძლიერდა. ბოლო დღეებში განხორციელებული დაკავებები სწორედ ამ ფლანგის დასუსტებას ისახავდა მიზნად.

– ვის ფლანგს ასუსტებს ივანიშვილი?

– კახა კალაძის ფლანგზე განხორციელდა შეტევა. ამ დაკავებების წინ ჩვენ ვიხილეთ აღტკინებული კალაძე. თბილისის მერი გამარჯვებული სახით გვაუწყებდა, რომ მან ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობა შეაჩერა.

დედაქალაქის პირველი პირი ამას ტყუილად იბრალებს. ვაკის პარკში მშენებლობა 2012 წელს შეჩერდა. 2012 წლიდან მოყოლებული, ამ ტერიტორიაზე არანაირი სამშენებლო სამუშაო არ ჩატარებულა. პროცესის განახლება დღის წესრიგშიც კი არ იდგა.

– აბა რას ეკვეთა კალაძე ინვესტორს?

– ეს ყველაფერი ხელოვნურად წამოწეული თემა იყო.

– რაში დასჭირდა ამ თემის წამოწევა?

– სასტუმროს მშენებლობის თემის წამოწევამდე რამდენიმე დღით ადრე თბილისში საშინელი ტრაგედია მოხდა – დიდ დიღომში გაზის აფეთქების შედეგად 4 ადამიანი, მათ შორის ერთი მცირეწლოვანი ბავშვი დაიღუპა. ტრაგედიას ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მოსახლეობა მერისგან ითხოვდა განმარტებებს. იმის ნაცვლად, რომ განმარტებები გაეკეთებინა, კალაძე გამოვიდა და სასტუმროს თემით შეეცადა ყურადღების გადატანას.

ის მთელი დღე ტელეეკრანებიდან არ ჩამოსულა – გვიყვებოდა, თუ რა მაგარია მერია და როგორ გმირულად გააჩერა ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობა. ამ ამბიდან მეორე დღეს ქრთამის აღების ბრალდებით ვაკის გამგებლის მოადგილე დააკავეს, რაც ივანიშვილის შურისძიება იყო.

– ვისზე იძია შური?

– კალაძეზე. ოლიგარქმა მერს მისი ფლანგის გაძლიერება არ აპატია.

– იქნება ეს დაკავება მართლაც კორუფციასთან წინააღმდეგ ბრძოლაა? თავად თქვით, რომ ის ადამიანი არაერთ კორუფციულ სქემაში იქნა მხილებული.

– კორუფციასთან ბრძოლის მოტივი გამორიცხულია. მართლა რომ სდომებოდათ კორუფციასთან ბრძოლა, ვაკის გამგებლის მოადგილეს ბევრად ადრე დააკავებდნენ. ივანიშვილმა ახლა გასცა ბრძანება და კიდევაც დააკავეს.

– ივანიშვილის ნებართვის გარეშე სუსი ვერ დააკავებდა კორუმპირებულ ჩინოსანს?

– ჩინოსნების დაკავების საკითხს პირადად ბიძინა ივანიშვილი წყვეტს. ვერც ერთი უწყება ამას დამოუკიდებლად ვერ გაბედავს.

დარწმუნებული ვარ, წყალტუბოს გამგებლის დაკავების დავალებაც ოლიგარქმა გასცა. ისიც ვიღაცის კადრი იყო და იმ ვიღაცასაც დაუქნიეს ხელი.

„ქართული ოცნება“ იმართება – მთავარია, ვიღაცის ინტერესები არ გადაკვეთო და შეგიძლია, უპრობლემოდ აიღო ქრთამი.

– ვისი ინტერესების გადაკვეთაა სახიფათო?

– პირველ რიგში – ივანიშვილის. სარისკოა ასევე „ოცნების“ ზედა ეშელონის რამდენიმე წარმომადგენლის ინტერესების გადაკვეთა.

მთელი მმართველი პარტია კორუფციაშია ჩაფლული. ქრთამს თითქმის ყველა იღებს.

მე გაგახსენებთ რამდენიმე წლის წინ განხორციელებულ გახმაურებულ დაკავებას. „ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი და აქტიური სახე ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს. ყველაზე საინტერესო ის არის, თუ რა მომენტში დააკავეს ეს ახალგაზრდა კაცი.

ეს დაკავება 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე მოხდა. იმ პერიოდში იწერებოდა საარჩევნო სიები. ყველამ კარგად ვიცით, რომ ოთარ აბესაძეს თბილისის საკრებულოში მოხვედრაზე ჰქონდა პრეტენზიები.

მისი სურვილი ზედა ეშელონებში ვიღაცის ინტერესებს არ დაემთხვა. ეს ოთარ აბესაძის დაკავებით დასრულდა. ისიც ჩააჩოჩეს და სხვა პრეტენზიულებსაც უთხრეს, რომ თუ არ გაჩერდებოდნენ, მათაც დააკავებდნენ. დღესაც იგივე ხდება – ივანიშვილმა კალაძეზე შური იძია.

– ამ ფორმით რატომ იძია შური? ისე, რომ ეთქვა კალაძისთვის, დაოკდიო, არ დაოკდებოდა ვითომ?

– ივანიშვილს ამ ფორმით მოუნდა კალაძის გაფრთხილება. ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ გეგა გეგეშიძის დაკავებითაც გააფრთხილეს კალაძე.

მას აგრძნობინეს, რომ დამოუკიდებლად თამაში ასეთი შედეგით შეიძლება დასრულდეს. თბილისის მერი როგორც კი დამოუკიდებლად დაიწყებს თამაშს, მას ოლიგარქი ეგრევე თავში ჩაარტყამს.

არც იმას გამოვრიცხავ, რომ მთავარმა მეოცნებემ პარტიის გენერალური მდივანი სხვა რამისთვისაც დასაჯა.

ბოლო დროს კალაძის გამო „ოცნებას“ ხალხის რისხვა დაატყდა თავს.

მთელმა საქართველომ იცის, რომ ყაზტრანსგაზის არაფორმალური მმართველი თბილისის მერია. კალაძეს არ უნდოდა, მაგრამ, იძულებული გახდა, ყველაფერი, რაც ყაზტრანსგაზის გამო მოხდა, საკუთარ თავზე აეღო.

– რით გამოიხატება, რომ მან ეს ყველაფერი საკუთარ თავზე აიღო? ტრაგედიის მესამე დღეს გამოვიდა და ოპონენტებს უთხრა, გამოექანეთო.

– თბილისის მერმა რაც არ უნდა იღლიციონოს, საზოგადოება ყაზტრანსგაზის საქმიანობაზე მას აკისრებს პასუხისმგებლობას.

კალაძეს მორალი რომ ჰქონოდა, ამ ტრაგედიებზე მორალურ პასუხისმგებლობას მაინც აიღებდა. ყველასთვის ცნობილია, რომ ყაზტრანსგაზი არის მისი.

მორალი რომ ჰქონოდა, კი არ იღლიციონებდა, არამედ გამოვიდოდა და საზოგადოებას ბოდიშს მოუხდიდა. თანამდებობიდან გაათავისუფლებდა ქალაქის სატრანსპორტო სამსახურის უფროსს, რომელიც, ამავე დროს, ყაზტრანსგაზის გენერალური დირექტორია.

– როგორი იქნება სამომავლოდ კალაძის ამბავი, ივანიშვილმა მხოლოდ გააფრთხილა თუ წაუსნიკერსებს და გააგრძელებს მისი ფლანგის აწიოკებას?

– ეს არის გაფრთხილება. კალაძე თუ რაღაცებს არ დაიწყებს, პროცესი შეჩერდება. როგორც კი რაღაცას გაბედავს, თავში ჩაარტყამენ. ეს არის და ეს მათი კორუფციასთან ბრძოლა.

თავში გითხარით, რომ ეს არის შიდა გარჩევები და მეტი არაფერი.

ლევან გოგიჩაიშვილი: „მოვუწოდებთ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, დაანებონ თავი ხალხთან კონფლიქტს. ეს სასამართლოს დაარტყამს“

– მოვუწოდებთ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, დაანებონ თავი ხალხთან კონფლიქტს, ეს სასამართლოს დაარტყამს!

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრმა ლევან გოგიჩაიშვილმა ჟურნალისტებს „რედისონ ბლუ ივერიაში“ განუცხადა, სადაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძის ხელმძღვანელობით სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა.

როგორც გოგიჩაიშვილმა აღნიშნა, კრიტერიუმების შემუშავებამდე პროცესი ან იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა შეაჩეროს ან პარლამენტმა.

– ბუნებრივია, არის ემოციური ფონი. ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი დაისვა, იცით, რომ უმრავლესობაში არის კონსენსუსი მიღწეული უვადოდ მოსამართლეების დანიშვნის პროცესზე მორატორიუმის გამოცხადებასთან დაკავშირებით. ეს პროცესი უნდა შეჩერდეს. დღეს ეს პროცესი გაჟღერდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პარლამენტის მხრიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის ამ განწყობის გადაცემა, ბუნებრივია, სასიამოვნო არ არის. ისინი თვლიან, რომ ამ პროცესზე ექსკლუზიური უფლება მათ აქვთ, მაგრამ დღევანდელი მოცემულობა და საზოგადოების დაკვეთა სხვა არის. ერთ-ერთი მთავარი დაკვეთა არის ის, რომ შეჩერდეს უვადო დანიშვნები, რაც ორი გზით არის შესაძლებელი – გაიაზროს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ პროცესი და თვითონ შეაჩეროს უვადოდ დანიშვნა კრიტერიუმების გაწერამდე, ან პარლამენტმა შეაჩეროს უვადო დანიშვნები.

ასევე მნიშვნელოვანია იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმა, რადგან თუ ახლა ყველა მოსამართლე უვადოდ დაინიშნა, რაღა აზრი აქვს ამ რეფორმას? ეს არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის არასასიამოვნო ინფორმაცია, მაგრამ მოუწევთ ამ ფაქტზე შეგუება. ყველამ ერთად უნდა გავაკონტროლოთ, რომ ხვალ ჩუმად არ შეიკრიბონ და რამე სია არ გაიტანონ. იცით, რომ წარმოდგენილია 48 მოსამართლე და ეს პროცესი უნდა გაჩერდეს. მოვუწოდებთ მათ, დაანებონ თავი ხალხთან კონფლიქტს, ყველაზე მნიშვნელოვანი ახლა კონსენსუსია. თუ პროცესს თვითონ არ შეაჩერებენ, ეს სასამართლოს დაარტყამს, – განაცხადა გოგიჩაიშვილმა.

„ინტერპრესნიუსის“ კითხვაზე, მაშინ, როდესაც არ იყო შემუშავებული მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის მოსამართლეთა წარდგენის ექსკლუზიური უფლების გადაცემა იყო თუ არა შეცდომა? გოგიჩაიშვილმა უპასუხა:

– რაც გინდათ, ის დაარქვით. არის ასეთი ვითარება შექმნილი, რომლის მიმართაც საზოგადოებას ყოველდღიურად უჩნდება პროტესტი. მოდით, ამაზე ყველამ ავიღოთ პასუხისმგებლობა. მეც ვგრძნობ რაღაც ნაწილში ჩემს ბრალეულობას. მოსამართლეთა რაღაც ნაწილი უკვე დანიშნულია, რაც ეჭვებს იწვევს. იმდენად ცუდი გარემოა შექმნილი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, რომელიც ჩვენ არ გვიხარია. სანამ არ იქნება პროცესი დეტალურად გაწერილი, პასუხისმგებლობა აღებული, პროცესი უნდა შეჩერდეს. დღეს ვცდილობთ, ეს პასუხისმგებლობა ავკიდოთ მათ.

ინტერპრესნიუსი

„საქართველოს სათბურის კორპორაცია“ პროდუქციის 25%-ის რეალიზებას საქართველოში ახდენს, პროდუქციის 40% კი ექსპორტზე გააქვს

– 2019 წლის მონაცემებით, წარმოების მოცულობის 25%-ის რეალიზება ადგილობრივი სუპერმარკეტების ქსელებში ხდება, 35%-ის საცალო-საბითუმო ქსელებში, წელიწადში მთლიანი მოცულობის 40% კი ექსპორტზე გადის," – ამის შესახებ „კომერსანტს“ ბიძინა ივანიშვილის „საქართველოს თანაინვესტირების ფონდის“ მიერ დაფინანსებულ საქართველოს სათბურის კორპორაციაში განუცხადეს, რომლის სასათბურე კომპლექს პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა 30.2 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს.

ასევე ბოლო ინფორმაციით, ამჟამად სათბურში 235 ადამიანია დასაქმებული, საიდანაც 95% ადგილობრივია. აქედან დისტრიბუციის ნაწილში, დასაქმებულია 50 ადამიანი, რომლებიც უშუალოდ საწარმოში მუშაობენ და უზრუნველყოფენ პროდუქციის შეფუთვის ხარისხს, ვარგისიანობის განსაზღვრას, ტრანსპორტირებას და მომხმარებლამდე სწრაფ მიწოდებას.

– სათბურში წარმოების პროცესი მრავალწლიანი გამოცდილების მქონე, მაღალკვალიფიციური ჰოლანდიელი და ფრანგი აგროინჟინრების, ტექნოლოგების და ბიოლოგების ზედამხედველობით მიმდინარეობს, – განუცხადეს „კომერსანტს“ თანაინვესტირების ფონდში.

შეგახსენებთ, 2016 წლის 26 ოქტომბერს „საქართველოს თანაინვესტირების ფონდმა“ საზოგადოებას საქართველოში ყველაზე მასშტაბური და უახლესი ევროპული ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასათბურე კომპლექსი „პლანტა“ წარუდგინა. 12 ჰექტარზე გაშენებული მაღალტექნოლოგიური სათბური გარდაბანში მდებარეობს. ეს ადგილი საქართველოს მასშტაბით მზიანი დღეების მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა, რაც ამ ტიპის მეურნეობების განვითარებისთვის ბუნებრივად ხელსაყრელ პირობას ქმნის. ასევე თბილისთან ახლოს მდებარეობს, რაც მნიშვნელოვანია დისტრიბუციის კუთხით, ვინაიდან სათბურიდან მოსახლეობას ყოველდღიურად ახალი პროდუქცია მიეწოდება.

სათბურზე მუშაობა, ფონდმა 2014 წელს, სასათბურე მეურნეობის დარგში წამყვან ევროპულ კომპანია „რიშელ ჯგუფთან“ (Richel Group) ერთად დაიწყო, ხოლო შემდეგ მუშაობა გააგრძელა სასათბურე მეურნეობის დარგში ასევე წამყვან ევროპულ, კერძოდ ჰოლანდიურ კომპანია „სერტონთან“ (Certhon). მოსავლის აღება ყოველდღიურად ხდება. ამ ეტაპზე სათბური ფლობს ISO 9001-2015 სერტიფიკატს (რაც მოიცავს მენეჯმენტის სტანდარტს), ხოლო სამომავლოდ Global GAP-ის სერტიფიკატის მფლობელიც გახდება.

კომერსანტი

ხათუნა ლაგაზიძე: „დასავლეთი აიძულებს „ოცნებას“, ახლავე გადავიდეს პროპორციულ არჩევნებზე“

იაგო ნაცვლიშვილი

„შესაძლოა, ივანი შვილმა ოდიოზურ მოსამართლეებს სასამართლოს მართვის ბერკეტები ხელიდან გამოაცალოს“

24-25 იანვარს „ქართულ ოცნებაში“ კონსულტაციების ერთი ეტაპი დასრულდა. კონსულტაციები, რომლებშიც პარტიის ლიდერი ბიძინა ივანიშვილიც მონაწილეობდა, პარტიის ერთიანობით დამთავრდა. დაპირისპირებულმა მხარეებმა რიტორიკა მკვეთრად შეარბილეს. მოხდა რამდენიმე საკითხის შეჯერებაც, თუმცა მსჯელობა ისევ გაგრძელდება. რა პროცესთან გვაქვს საქმე, როგორია დასავლეთის განწყობები და როგორ შეიძლება, განვითარდეს პროცესები? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე საუბრობს.

– ქალბატონო ხათუნა, რა გაიგეთ და რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ამ 2-დღიანი კონსულტაციებიდან?

– სიმართლე გითხრათ, ინფორმაციული თვალსაზრისით, ბევრი ვერაფერი შევიტყვე, აქედან გამომდინარე, გასაანალიზებელია ის სიტყვაძუნწობა, რომლითაც „ქართული ოცნების“ წევრთა უმრავლესობა გამოირჩეოდა, განსხვავებით წინა ერთთვიანი ბატალიებისგან. ბიძინა ივანიშვილმა არჩია ამ ეტაპზე, „ქართული ოცნების“ ერთობა გადაერჩინა გარდაუვალი დაშლისგან. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ „ქართული ოცნება“ ერთიანი გუნდი გახდება. განსხვავებული პოზიციები მხოლოდ მოსამართლეების თემას არ უკავშირდებოდა და მათ უფრო ღრმა ფესვები აქვს.

– ერთიანობის შენარჩუნება დროებითია?

– რა თქმა უნდა, დროებითია. ის განსხვავებები, რაც გუნდის შიგნით არის, არჩევნების მოახლოებასთან ერთად კიდევ უფრო გაღრმავდება. ძირითადი წინააღმდეგობა არის არა მხოლოდ ღირებულებითი, არამედ დაკავშირებულია 2020 წლის საპარლამენტო სიასთან, სადაც დღევანდელი დეპუტაციის, უბრალოდ, ვერ აღმოჩნდება.

ამიტომაც პროცესები ორ პარალელურ ჭრილში უნდა განვიხილოთ. ერთი არის მოსამართლეების თემა, რაც ღირებულებით საკითხს უკავშირდება, ხოლო მეორეა ხელისუფლებაში საკუთარი თავის შენარჩუნების თემა.

ეკა ბესელიამ მოსამართლეების თემას მიაბა ხელისუფლებაში ყოფნის საკუთარი გახანგრძლივების თემა. „ოცნებიდან“ მისი წამოსვლა, შესაძლოა, მისთვის გაცილებით დამაზიანებელი ყოფილიყო, მოსამართლეების თემით რომ არ გადაერჩინა თავი. მან პოლიტიკური გამოცდილება გამოიყენა იმისთვის, რომ მოსამართლეების თემასთან დაეკავშირებინა საკუთარი კონფლიქტები გუნდში. ამით გადაფარა მისი პერსონის გარშემო არსებული აზრთა სხვადასხვაობა „ქართულ ოცნებაში“ და გარკვეული ბაზისი პოლიტიკურ შერკინებაში შეიქმნა.

„ოცნებაში“ დღეს იმდენად განსხვავებული ადამიანები არიან სხვადასხვა კვოტით შესულები, რომ გაუჭირდებათ ერთად პოლიტიკური მომავლის შენება. ამიტომაც ამ ხელოვნურად გადარჩენილი ერთიანობის ღირებულება რაშია, ამას ნათლად ვერ ვხედავ.

ამ კონსენსუსს ხელი შეუწყო იმან, რომ მოსამართლეების თემასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, შეთანხმებას მიაღწიეს. ეს ისევ ბიძინა ივანიშვილის რაციონალიზმზე მეტყველებს, რომ მან მოახერხა საკუთარი გუნდისთვის იმ ფორმულის შეთავაზება, რომელიც მომგებიანი იქნება როგორც საზოგადოებისთვის, ისე გუნდის იმიჯის გადასარჩენად.

– ამით პოლიტიკურ ქულებს ვინ დაიწერს – ბესელია, ივანიშვილი თუ ვინ?

– ყველაფერი, რაც „ოცნებაში“ ხდება, ივანიშვილის სახელთან ასოცირდება, ამიტომ ქულები თავად ივანიშვილს დაეწერება. მისი პოზიცია რომ არა, მოსამართლეების საკითხზე შეჯერება ვერ მოხერხდებოდა. „ოცნება“ ბოლომდე რომ „მისწოლოდა პირველ ჩვენებას“ ანუ იმ ათკაციან სიას, ეს გუნდის დაშლას კი გამოიწვევდა, მაგრამ საზოგადოების ქუჩაში გამოსვლა არ მოჰყვებოდა.

საქართველოს ხელისუფლებები რეაგირებენ ძირითადად მხოლოდ ხალხის ქუჩაში გამოსვლაზე. იმის მიუხედავად, რომ ტოქსიკური მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის თემა ჩვენი შვილების თაობაზე ზემოქმედი საკითხი იყო, ამას ხალხის ქუჩაში გამოსვლა და მასობრივი აქციები მაინც არ მოჰყვებოდა, ანუ ხელისუფლებას შეეძლო, გადაეგორებინა ეს თემა და მაინც თავისი გაეტანა, რასაც კი მოჰყვებოდა უმრავლესობის დაშლა, მაგრამ, როგორც გითხარით, ხელოვნურად შეკოწიწებული გუნდის ღირებულებას ნათლად ვერ ვხედავ. დაშლა უფრო ჯანსაღ პროცესად მიმაჩნია, ვიდრე ასეთი ერთობის შენარჩუნება.

ხშირად მიწევს დასავლელ დიპლომატებთან ურთიერთობა. მათი განწყობა საკმაოზე მეტად კრიტიკულია. საპრეზიდენტო არჩევნებში ხელისუფლების ქმედებების მიმართაც, სასამართლოს მიმართაც ძალიან კრიტიკულები არიან... პირდაპირ ამბობენ, რომ არის თემები, რომელთაც დასავლეთი საქართველოსთან მიმართებით უბრალოდ არ დათმობს. ეს არის თავისუფალი მედია, ეს არის სასამართლო სისტემის თავისუფლება, მდგრადი საფინანსო ინსტიტუტები.

– იმის რისკს ხედავთ, რომ „ოცნების“ სურვილებმა ჩვენი დასავლური მისწრაფებები გადაიყოლოს?

– არა. ახლა „ოცნებამ“ შემხვედრი ნაბიჯები, პირველ რიგში, დასავლეთის განწყობების მიმართ გადადგა. ამიტომ შემოგვთავაზა მოსამართლეების დანიშვნაზე ასე რადიკალურად შეცვლილი პოზიცია. ეს იყო რეაგირება დასავლეთის მკვეთრ ფორმულირებებზე, რომლებსაც ისინი ამჟღავნებენ.

კიდევ ერთი წითელ ხაზი, რაც დასავლეთმა მოხაზა, არის არჩევნები. ისინი ამბობენ, რომ 2020 წლის არჩევნებში ისინი არ დახუჭავენ თვალს იმაზე, რაზეც მათ თვალი 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს დახუჭეს.

ველი, რომ ეს ხელისუფლება დასავლეთისგან მიიღებს რაღაც „ბეიკერის ფორმულის“ მსგავსს. მოგეხსენებათ, 2002 წელს ე.წ. ბეიკერის ფორმულამ, ფაქტობრივად, განსაზღვრა 2003 წლის არჩევნების ბედი. ველი, რომ დასავლეთი მსგავს „ფორმულას“ ძალიან რადიკალურად „შესთავაზებს“ ხელისუფლებას და ეს, სულ მცირე, პროპორციულ არჩევნებზე გადასვლა იქნება.

შესაძლოა, ამას დაერთოს საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესის შეცვლის მოთხოვნაც. ამიტომ ვამბობ, რომ „ოცნების“ ერთიანობის შენარჩუნება არ მიმაჩნია პრიორიტეტულ ამოცანად. პრიორიტეტულად დასავლეთის მოთხოვნებისთვის მზადება მიმაჩნია.

„ქართული ოცნება“ უნდა იყოს იმისთვის მზად, რომ პროპორციული არჩევნების შემთხვევაში რამდენიმე პოლიტიკური ძალა შევა პარლამენტში: სადღაც 7-8 პარტიას ექნება ეს შანსი და მათ ნაწილთან ერთად „ოცნებამ“ სამთავრობო კოალიციის შექმნა უნდა შეძლოს. თუმცა, იგივე შანსი ნაციონალურ მოძრაობასაც ექნება.

პროპორციული არჩევნები „ოცნებისთვის“ გამოწვევა იმიტომ არის, რომ შედარებით წვრილი პოლიტიკური ძალები, რომლებიც 3%-იან ბარიერს გადალახავენ, იქითკენ წავლენ, რომელი ძირითადი მოთამაშისკენაც სასწორი გადაიხრება, ანუ თუ გამარჯვების სასწორი „ოცნებისკენ“ გადაიხრება, წვრილი და საშუალო პოლიტიკური პარტიები მისკენ წაინაცვლებენ, თუ ნაცმოძრაობისკენ, მაშინ ეს პარტიებიც ნაციონალებთან შეკრავენ ალიანსს, ანუ ვის გარშემო შეიქმნება სამთავრობო კოალიცია, პროპორციული არჩევნების შემთხვევაში, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ვინ უფრო უკეთ მოემზადება მისთვის: „ოცნება“ თუ ნაციონალები.

25 იანვარს გაიმართა შეხვედრა „რუსთავი 2“-ის ეგიდით, სადაც მონაწილეობდნენ პოლიტიკური პარტიები, დიპკორპუსი, მედია და არასამთავრობოები. შეხვედრაზე გამოიკვეთა, რომ მათი მიზანია ხელისუფლება აიძულონ, პროპორციულ არჩევნებს დათანხმდეს.

– ამის მზაობას „ოცნების“ მხრიდან ხედავთ?

– არა, მაგრამ უნდა ფიქრობდნენ! ამიტომაც, „ქართული ოცნების“ შიგნით თუ გამოიყოფა სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფები და დამოუკიდებლად იფიქრებენ მომავალზე, ამაში ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავ, პირიქით.

„ოცნების“ დღევანდელი დეპუტაციიდან დამოუკიდებლად საკუთარი პოლიტიკური მომავლის აშენების რესურსი თითქმის არავის აქვს: არც იმიჯური, არც ინტელექტუალური და არც ფინანსური. ამიტომაც, თუკი ისინი შექმნიან ოპოზიციურ ჯგუფებს თუ მიმდინარეობებს, მათ მაინც ყველას ექნებათ იმედი, რომ მომავალ სამთავრობო კოალიციაში იყვნენ „ქართული ოცნების“ პარტნიორი.

ეს პროცესი გაცილებით უფრო ჯანსაღია და „ქართული ოცნების“ ხელისუფლების გახანგრძლივებას უფრო ემსახურება, ვიდრე ასე ხელოვნურად ერთობის შენარჩუნება: ვინც გადარჩება პოლიტიკურ კონკურენციაში, შეკრავს კოალიციას მომავალ პარლამენტში. დრო ცოტაა იმისთვის, რომ მერე მოხდეს გადაწყობა ახალ რეალობაზე.

– ამით ხომ არ უნდა ავხსნათ ის განცხადებები, რაც კონსულტაციების შემდეგ გვესმოდა? თუნდაც ეკა ბესელიას მხრიდან, რომ ის მადლიერია ბიძინა ივანიშვილის და ა.შ?

– რა თქმა უნდა. აქამდეც ყველაფერი გააკეთა ეკა ბესელიამ იმისთვის, რომ ივანიშვილთან მისასვლელი გზები ბოლომდე არ დაეწვა. ყველა ხვდება საკუთარ პოლიტიკურ წონას, ვინც შიგნით არის. ამავდროულად, რაც მოსამართლეებთან დაკავშირებით მოხდა, ბიძინა ივანიშვილს აძლევს შესაძლებლობას, გათავისუფლდეს ამ ოდიოზური მოსამართლეებისგან, ერთი მხრივ და, მეორე მხრივ, ტოქსიკური სახეებისგან – „ქართული ოცნების“ შიგნით. პირველი ეტაპი შეიძლება იყოს ეს, რომ ოდიოზურ მოსამართლეებს ხელიდან გამოეცალოს რეალური მართვის ბერკეტები სასამართლო ხელისუფლებაში.

– არ გგონიათ, რომ ეს მოსამართლეები ივანიშვილისგან იმართებიან და აწყობს ივანიშვილს მათი სასამართლო სისტემაში ყოფნა?

– ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ ორდღიანი შეხვედრის შემდეგ შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ისინი შეჯერდნენ იმგვარ პრინციპებზე, რომლებიც სასამართლო სისტემაში არსებული კლანის არსებობას სერიოზულად შეარყევს. თუმცა ჯერ რაიმე კონკრეტულზე საუბარი ნაადრევია: საბოლოო შედეგი მოგვცემს დიაგნოზის დასმის საშუალებას – ეს იქნება ფორმალური ცვლილებები თუ ამ ბერკეტს ივანიშვილი გამოიყენებს ამ ოდიოზური მოსამართლეებისგან სისტემის გასაწმენდად.

ამაზე პასუხი დაახლოებით ერთ თვეში გვექნება, როდესაც იმ ფორმულას ვნახავთ, რომლითაც მოსამართლეები შეირჩევიან და ვინ შეირჩევა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი დიაგნოზი იქნება, მათ შორის დასავლეთისთვისაც, რაზეა წამსვლელი „ოცნება“ და რამდენად არის სიცოცხლისუნარიანი, რამდენად აქვს რესურსი, დარჩეს დასავლეთისთვის მეტ-ნაკლებად მისაღებად.

ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ინდიკატორი. ჯერჯერობით შუალედური გამოცდა მოსამართლეებთან დაკავშირებით „ქართულმა ოცნებამ“ ჩაბარა. რა იქნება საბოლოო შეფასება, ამას ერთი თვის თავზე ვნახავთ და მერე გვექნება იმაზე მსჯელობის შესაძლებლობა, რა იყო საბოლოო ჯამში ივანიშვილის მიზანი.

ქეთევან ციხელაშვილი საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლებს მიმოსვლის აღდგენისკენ მოუწოდებს

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი ოკუპირებულ ტერიტორიებზე ე.წ. საზღვრის ჩაკეტვით შექმნილ მდგომარეობას ეხმაურება.

სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, ამოქმედებულია ცხელი ხაზი და ქართული მხარე არც ერთ ზარს უყურადღებოდ არ ტოვებს. ქეთევან ციხელაშვილი ყველა მხარეს ე.წ. საზღვრის გახსნისა და მიმოსვლის აღდგენისკენ მოუწოდებს.

უკვე მეთხუთმეტე დღეა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ე.წ. საზღვრის ჩაკეტვის გამო მოსახლეობას გადაადგილების შესაძლებლობა აქვს შეზღუდული.

მედიანიუსი

რუსებმა ძუკაანთკარში უკანონოდ გავლებული ბარიერის ძველი მავთულხლართი ახლით ჩაანაცვლეს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, ძუკაანთკარში უკანონოდ გავლებული ბარიერი, ე.წ. ძველი მავთულხლართი, ახლით ჩაანაცვლეს.

პირველი არხის კორესპონდენტის ცნობით, საოკუპაციო ზოლის მოსაზღვრედ მცხოვრებ ბატონისაშვილების ოჯახს საკუთარი რკინის ღობის ნაწილი ახსნილი დახვდა. ოჯახი შიშობს, რომ ღობის ახსნას მავთულხლართების გავლებაც მოჰყვება.

სუს-ში ამბობენ, რომ მომხდარის შესახებ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია არის ინფორმირებული.

– მიმდინარე წლის 21 იანვარს ძუკაანთკარში მოხდა უკანონოდ გავლებული ბარიერის, ე.წ. ძველი მავთულხლართის ახლით ჩანაცვლება. აღნიშნულთან დაკავშირებით ამოქმედებულია ცხელი ხაზი და ინფორმირებულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია. რაც შეეხება ადგილობრივი მკვიდრის ბაღის საკითხს, მიმდინარე წლის 10 იანვარს ადგილობრივმა მკვიდრმა მისი ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე საოკუპაციო ძალის წარმომადგენლები შენიშნა.

სახელმწიფოს მხრიდან მოხდა რეაგირება, მათ შორის ცხელი ხაზის გააქტიურება და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ინფორმირება. ბორდერიზაციას აღნიშნულ მონაკვეთზე ადგილი არ ჰქონია. აღნიშნული ინციდენტები განხილული იქნება ინციდენტების პრევენციისა და მასზე რეაგირების მექანიზმის უახლოეს შეხვედრაზე, – განუცხადეს სუს-ში პირველ არხს.

დავით ქაცარავა: „რუსეთი ხაშურის ტერიტორიაზე მდებარე ტალკის საბადოების მიტაცებას გეგმავს“

– რუსეთი ხაშურის ტერიტორიაზე მდებარე ტალკის საბადოების მიტაცებას გეგმავს და ამისთვის უკვე გარკვეულ ქმედებებს ახორციელებენ, – ამის შესახებ ანტისაოკუპაციო მოძრაობის წევრი დავით ქაცარავა აცხადებს.

– ოკუპანტები ახალი ტერიტორიების შეღობვას იწყებენ. ეს ტერიტორიები გახლავთ ხაშურის რაიონის, რომელიც არანაირ შემხებლობაში საოკუპაციო ხაზთან არ მოდის.

ეს არის ის თემა, რომელიც უკავშირდება საბადოების მიტაცებას, რომლებიც მდებარეობს სოფელ ჩორჩას მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც ეკუთვნის ხაშურის ტერიტორიას. ეს არის ტალკის უძვირფასესი და უმნიშვნელოვანესი, ძალიან სტრატეგიული მნიშვნელობის საბადოები, რომლის მიტაცებასაც ამ გეგმის მიხედვით აპირებენ რუსები.

კიდევ ვიმეორებ, ეს უკვე გაცხადებული აქვთ და იწყებენ თავის გეგმის განხორციელებას. ეს არის საგანგაშო სიტუაცია, რომელზეც სასწრაფოდ უნდა მოხდეს რეაგირება. უნდა დადგეს პოსტები, არც ერთ ვარიანტში არ შეიძლება ამ ტერიტორიის გატანება, – ამბობს ქაცარავა.

მედიანიუსი

„სააკაშვილის დაბრუნების დრო ჯერ არ დამდგარა“

შორენა მარსაგიშვილი

როდის დაბრუნდება სააკაშვილი საქართველოში, რატომ არის „ოცნების“ დღეები დათვლილი, როდის გააქტიურდება ოპოზიცია? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის წევრი ჯელალ ქიქავა ესაუბრება.

ჯელალ ქიქავა:

– „ქართული ოცნება“ დამთავრებულია, მას აწი ვერაფერი ვეღარ უშველის. რაც ახლა მმართველ პარტიაში ხდება, ერთი ერთში მაგონებს აღორძინების დასრულების პერიოდს. როგორც მაშინ ასლან აბაშიძე იყო აგონიაში, ისეთივე აგონიაშია ბიძინაც. აგონიაში მყოფი კაცი კი ნორმალურ გადაწყვეტილებას ვერასდროს მიიღებს.

პარტიაში როცა ასეთი რყევები იწყება, ის პარტიისთვის ყოველთვის ცუდად მთავრდება. ამ მხრივ „ოცნებაც“ არ იქნება გამონაკლისია. ჩათვალეთ, რომ ეს პარტია უკვე აღარ არსებობს.

– ნაადრევად ხომ არ ჩამოწერეთ ეს პარტია?

– არა. დამთავრებულები არიან და ამას თავადაც გრძნობენ. არაფერს არ აკეთებენ „ოცნების“ გადასარჩენად. ისინი პოლიტიკაში სახელმწიფოსა და პარტიის ასაშენებლად არ მოსულან, ისინი ბიუჯეტის საძარცვავად მოვიდნენ.

წინა ხელისუფლებამ მათ დალაგებული ქვეყანა დაახვედრა, საქმე, ფაქტობრივად, არაფერი ჰქონდათ გასაკეთებელი, მარტო უნდა ეძარცვათ. ამათ დაიწყეს ძარცვა. ხალხი ამ ყველაფერს კარგად ხედავს. არჩევნებამდე თუ მიაღწევენ, ჩათვალეთ, რომ გმირები არიან.

– მიღწევაში რას გულისხმობთ, დაიშლებიან?

– დაშლითაც დაიშლებიან და ხელისუფლებასაც ჩამოშორდებიან.

– ვინ ჩამოაშორებს ხელისუფლებისგან?

– ხალხი. პროტესტი აუცილებლად იქნება.

– ამაზე ბევრს საუბრობენ, მაგრამ პროტესტი არ ჩანს.

– იმიტომ, რომ დუღილამდე ჯერ საქმე მისული არ არის. ახალი წლის დღეებმა ეს საპროტესტო განწყობა ცოტა გაანელა. ქართველები ვართ და გვიყვარს ქეიფი, ხალხი ჯერ ისევ პახმელიაზეა. ასეთ დროს ქუჩაში ხალხს ვერ გამოიყვან. ხალხი ქუჩაში გაზაფხულზე გამოვა. ოპოზიციის გააქტიურებას მარტის შუა რიცხვებიდან უნდა ველოდოთ.

– თემა რა იქნება?

– არჩევნები, არჩევნები და არჩევნები. ხალხი და ოპოზიცია ხელისუფლებას საარჩევნო კოდექსის შეცვლასა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნას მოსთხოვს.

– ამბობთ, ხალხი მოითხოვსო და ამაში დარწმუნებული ხართ? გამოვა ივანი შვილი, ცრემლს გადმოაგდებს, რაღაცას დაჰპირდება და ერიც დამშვიდდება.

– ვიღაც დამშვიდდება მის ხვეწნა-მუდარაზე. ვიღაცას უფრო დიდი პროტესტი გაუჩნდება. ხალხი მაინც გამოვა ქუჩაში, მიუხედავად იმისა, რომ ივანი შვილს ფულით ყველაფრის გაკეთება შეუძლია.

– ყველაფერს, ეტყობა, ვერ აკეთებს ამ ფულით – პარტია თავზე ემხობა.

– თავზე იმიტომ ემხობა, რომ მისი პარტიის წევრებმა თავად იშოვეს დიდი ფული. მათთვის ივანი შვილი მაშინ იყო ავტორიტეტი, როცა ფული ჰქონდა. ახლა, როცა ფული იშოვეს, ბიძინა სულ ფეხებზე ჰკიდიათ. ყველა ცდილობს, პოლიტიკაში საკუთარი გზა გაიკაფოს.

– ნაციონალებსა და სააკაშვილს ხომ არ შეეკვრება რომელიმე?

– ქართულ პოლიტიკაზე არასდროს არ უნდა თქვა არასდროსო. ყველაფერი მოსალოდნელია. ეს ფრაზა მეც მეხება. 26 იანვარს ნაციონალური მოძრაობის ტომოსი მივიღე.

– ეს რას ნიშნავს?

– ოფიციალურად გავხდი ნაციონალური მოძრაობის წევრი.

– სააკაშვილთან დაკავშირებით ისეთ განცხადებებს აკეთებდით, გასაკვირი ისაა, აქამდე რატომ არ იყავით ამ პარტიის წევრი.

– მიმაჩნია, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. 6 წელია ოპოზიციაში გადასულ პარტიას ეომებიან და ვერაფერი ვერ უქნეს. არჩევნებზე 900.000 კაცი რომ მისცემს ხმას, მსოფლიო დონის პარტიასთან გვაქვს საქმე.

– პარტია იქით იყოს და, სააკაშვილი თუ დაბრუნდება საქართველოში? ბოლო დროს ამ თემაზე ისევ აქტიურად ალაპარაკდნენ.

– მიშა საქართველოში აუცილებლად დაბრუნდება. ის მაშინ ჩამოვა, როცა ამის დრო დადგება.

– ახლა არ არის მისი დაბრუნების დრო?

– ის ახლაც შემოვა საქართველოში. ისევე შემოვა, როგორც უკრაინაში გადალახა საზღვარი, მაგრამ ახლა საქართველოში შემოსვლას არ ვურჩევდი.

– რატომ არ ურჩევდით?

– ჯერ საამისოდ არ მომწიფებულა სიტუაცია. როცა ხალხი მოითხოვს მის ჩამოსვლას, მაშინ უნდა დაბრუნდეს. ახლა მიხეილ სააკაშვილის

ჯელალ ქიქავა: „ქოცებმა ფული იშოვეს და ივანი შვილი საერთოდ აღარ აინტერესებთ“

დაბრუნების აუცილებლობა არ დგას დღის წესრიგში.

– ოპონენტები ამბობენ, რომ დაბრუნების ეშინია.

– ეგ გამორიცხულია. ამ ქვეყნის გულისთვის მიშა უკან არაფერზე დაიხევს. არც შემოსვლაა მისთვის პრობლემა.

26 იანვარს ჩემი დაბადების დღე იყო. მიშა ამერიკიდან სკაიპით დამიკავშირდა და იუბილე მომილოცა. ძალიან სასიამოვნოა, როცა ლიდერი თანაპარტიელებთან ახლოს არის. მიშა ხალხთანაც ახლოსაა და ხალხი ამას აუცილებლად დააფასებს.

– ხალხთან ბიძინაც ახლოს იყო.

– როდის იყო ის ხალხთან ახლოს? მას მეგობარი და ძმაკაციც კი არ ჰყავს.

– სამაგიეროდ, მლიქვნელების არმია ჰყავს.

– მარტო მლიქვნელების? მაგას ზონდერებიც ჰყავს. მოჭიდავეებზე მაქვს საუბარი, თავის თავს ოჯახს რომ უწოდებენ.

– ეს მოჭიდავე ზონდერები ყველა ხელისუფლებას ჰყავდა.

– ყველა ხელისუფლება სათავისოდ იყენებს მაგათ. მაგათ მხოლოდ ძალადობის ტვინი აქვთ და ძალადობისთვის იყენებენ. ახლა ნამეტანი მოუვიდათ. მთელმა მსოფლიომ ნახა, ფედერაციის პრეზიდენტმა ევროპის ჩემპიონს როგორ ჩაარტყა თავში ხელკეტი.

– ფედერაციის მამები ამბობენ, რომ ნაციონალებმა გამოიყვანეს გეგეშიძე წყობილებიდან.

– ნაციონალებმა არა ის. ის ბიჭი, ზურაბ დათუნაშვილი, თავისუფლად მოაზროვნეა, ამათ ზონდერობას გმობს და მაგიტომაც დაესხა ფედერაციის პრეზიდენტი თავს. იმის ნაცვლად, რომ ციხეში გაეშვათ, გირაოთი გამოუშვეს და თანამდებობაც შეუნარჩუნეს. ხალხი ამასაც დაიმახსოვრებს და ქოცებს, სხვა ყველაფერთან ერთად, ამაზეც მოსთხოვენ პასუხს.

სანდრა რულოვსი ზუგდიდის მერობისთვის იბრძოლებს?

შორენა მარსაგიშვილი

„ოცნება“ ირაკლი ალასანიას ყოფილ თანაპარტიელს წარადგენს

ზუგდიდში პოლიტიკურად ცხელი გაზაფხული იქნება. აქაურებმა ქალაქის მერი უნდა აირჩიონ.

ყოფილი მერი, ლაშა გოგია, გასული წლის დამლევს თავის მოადგილესთან ერთად ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს.

საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური ზუგდიდში სალომე ზურაბიშვილს რომ მოეგო, გოგია კვლავ თავისუფლად ინავარდებდა. გოგიას არჩევნების წინ მოუწია პოსტიდან წასვლამ. მისი გადადგომის მიზეზი ის ჩანაწერი გახდა, საიდანაც ჩანს, რომ გოგია და მისი მოადგილე ქრთამს იღებენ.

ამ სკანდალისა და თანამდებობიდან წასვლის მიუხედავად, „ოცნებამ“ საარჩევნო შტაბი მას ჩააბარა. როგორც ამბობენ, მას კახა კალაძე და ირაკლი კობახიძე ლობირებდნენ.

„ოცნებაში“ ამბობენ, რომ გაზაფხულზე დაგეგმილ მერის რიგგარეშე არჩევნებზე ის კიდევ ერთხელ ცდიდა ბედს. ალბათ, ასეც იქნებოდა, ზურაბიშვილს ზუგდიდში არჩევნების პირველი ტური რომ არ წაეგო.

გოგიას დაკავების შემდეგ „ოცნებას“ სხვა კანდიდატურის მოძებნა დასჭირდა. გავრცელებული ინფორმაციით, მმართველი პარტია ზუგდიდის მერის პოსტზე ირაკლი ჩიქოვანს წარადგენს.

ირაკლი ჩიქოვანი ირაკლი ალასანიას თანაპარტიელი იყო. ის ხალხი, ვინც ალასანიას განუდგა, „ოცნებამ“ კარგად დაასაქმა. დასაბინავებელი მხოლოდ ირაკლი ჩიქოვანი დარჩათ.

ბევრი ფიქრის შემდეგ მასაც მოუნახეს საქმე. „დაიცავი საქართველოს“ ლიდერ კახა მიქაიას თქმით, ირაკლი ჩიქოვანი ზუგდიდში „ოცნების“ მერობის კანდიდატია.

მიქაიას ინფორმაციით, „ოცნებაში“ რამდენიმე კანდიდატურა განიხილება, მაგრამ გამარჯვების შანსი მხოლოდ ჩიქოვანს აქვს.

– ირაკლი ჩიქოვანი არის ერთადერთი კანდიდატი ჩემთვის ცნობილ კანდიდატთა შორის, რომელსაც შეუძლია, ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს და დაამარცხოს იგი!!!

აგრეთვე მინდა, საზოგადოებას შევახსენო, რომ მე მას მხარს ვუჭერდი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მინდოდა, ჩემი ქალაქი პარლამენტში წარმოდგენილი ყოფილიყო არა ორი მდუმარე და სამარცხვინო მაჟორიტარის, თოლორაია-ქვარაიას, არამედ სწორედ ირაკლის სახით!

ჩემი დიდი სურვილი იყო აგრეთვე, „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე ყოფილიყო არა როლანდ ახალაიას მეეზოვე ლაშა გოგია, არამედ ირაკლი ჩიქოვანი, – აცხადებს კახა მიქაია.

ნაციონალურ მოძრაობას ზუგდიდში სერიოზული კანდიდატი ეყოლება. „ოცნებასთან“ დაახლოებულმა წყარომ „ახალ თაობას“ განუცხადა, რომ ნაციონალები სანდრა რულოვსის კანდიდატურას დაასახელებენ.

სანდრა რულოვსი სამეგრელოში და განსაკუთრებით ზუგდიდში ძალიან უყვართ. „ოცნების“ კანდიდატს მისი დამარცხება ძალიან გაუჭირდება.

„ოცნების“ კანდიდატს, შესაძლოა, პრობლემები შეუქმნას დამოუკიდებელმა კანდიდატმა მალხაზ ქუჩულორიამაც.

ახლო წარსულში მისი კანდიდატურა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის პოსტზეც განიხილებოდა.

ის ამ მომენტისთვის ქართულ-ესტონურ სამშენებლო კომპანიას ხელმძღვანელობს. ზუგდიდის მერის პოსტზე ის ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფმა წარადგინა.

მან ამ მიმართულებით აქტიურობა ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს დაიწყო. სოციალურ ქსელში შექმნილია მისი ოფიციალური გვერდი.

ქუჩულორიას მმართველ პარტიაში ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. ერთ-ერთი მათგანია ყოფილი შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი.

„ოცნებასთან“ დაახლოებულმა წყარომ „ახალ თაობას“ უთხრა, რომ ქუჩულორიას ძალოვნები სრულ მხარდაჭერას უცხადებენ.

„ჭიდაობის ფედერაციამ 4.300 ლარის ღირებულების 12 მობილური შეიძინა „წამახალისებელი ვიქტორინისთვის“, რომელიც არ გამართულა“

ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიერ 2016-2017 წლებში განხორციელებული ხარჯვითი ოპერაციები სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა.

დასკვნაში ნათქვამია, რომ ე.წ. წამახალისებელი ვიქტორინა 2016 წლის ფალავნობაში ჩასატარებელი ღონისძიების ფარგლებში უნდა გამართულიყო, რისთვისაც ფედერაციამ 4300 ლარის ღირებულების 12 მობილური ტელეფონი შეიძინა. როგორც დასკვნაშია აღნიშნული, მობილურები შეძენილია 20 დეკემბერს, თუმცა თავად შეჯიბრება 16-17 დეკემბერს გაიმართა. „წამახალისებელი ვიქტორინა“, რომლის ფარგლებშიც გამარჯვებული მაყურებლები უნდა გამოვლენილიყვნენ, საერთოდ არ გამართულა.

– 2016 წლის ფალავნობაში ჩასატარებელი ღონისძიების დაფინანსების მიზნით, სპორტის სამინისტროსა და საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციას შორის 2016 წლის 11 მარტს გაფორმებული გრანტის გაცემის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, სამინისტროში წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, 2016 წლის 5 დეკემბერს ფედერაციას ჩაერიცხა 22,300 ლარი. სამინისტროში 2016 წლის დეკემბერში წარდგენილი საავანსო ანგარიშის შესაბამისად, გრანტის თანხიდან 2016 წლის 20 დეკემბერს შესყიდულია 4.300 ლარის ღირებულების 12 ცალი მობილური ტელეფონი.

ტელეფონების შესყიდვის მიზნით, ი/მ ნატო ბოჭორიშვილს 4, 300 ლარი გადაერიცხა 2016 წლის 16 დეკემბერს. სასაქონლო ზედნადები გამოწერილია 2016 წლის 23 დეკემბერს, ხოლო მიღებაჩაბარების აქტი შედგენილია 2016 წლის 20 დეკემბერს, ფალავნობის ღონისძიება კი ჩატარდა 2016 წლის 16-17 დეკემბერს და, შესაბამისად, ვიქტორინის გამართვა და გამარჯვებულების დაჯილდოება უნდა მომხდარიყო ამავე პერიოდში.

ჩამოწერის აქტის შესაბამისად, 4,300 ლარის ღირებულების საჩუქრების გამარჯვებულ მაყურებელზე გადაცემას ხელმოწერებით ადასტურებს ფედერაციის გენერალური მდივანი, პირველი ვიცე-პრეზიდენტი და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ფედერაციის გენერალური მდივნისა და ვიცეპრეზიდენტის წერილობითი განმარტებებით კი, აღნიშნულ ჩამოწერის აქტზე მათი ხელმოწერები არ არის. მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებებით არ დასტურდება ვიქტორინის ჩატარების ფაქტი. არ არის განსაზღვრული ვიქტორინის თემატიკა და არ არის შემუშავებული მისი გამართვის და გამარჯვებულის გამოვლენის წესი. ჩამოწერის აქტით არ ხდება ვიქტორინაში გამარჯვებული პირების იდენტიფიცირება და შესაბამისად, არ დასტურდება მათზე ტელეფონის აპარატების გადაცემის ფაქტი. დასკვნა მოცემული ხარჯვითი ოპერაცია შეიცავს ფიქტიური ოპერაციის ნიშნებს და ზრდის თაღლითობის რისკებს, – აღნიშნულია აუდიტის სამსახურის დასკვნაში.

მედიანიუსი

კალაძემ მერიის შტატგარეშე თანამშრომლებს დეპუტატებზე მაღალი ანაზღაურება დაუნიშნა

საქართველოს პარლამენტის წევრებზე ბევრად მეტ ხელფასი, დაახლოებით იმდენი, რამდენსაც მინისტრები ყოველთვიურად იღებენ, კახა კალაძემ მერიის შტატგარეშე თანამშრომლებს დაუნიშნა. საუბარია იმ ადამიანებზე, რომლებიც მერიაში არა კონკურსის წესით მოხვდნენ, არამედ პირდაპირ დაასაქმეს. მათი რიცხვი დედაქალაქის მუნიციპალიტეტში 119-ია.

კალაძის მიერ გამოცემულ ბრძანებაში აღნიშნულია, რომ მხოლოდ მერიის ადმინისტრაციას წელს პირველი იანვრიდან 31 დეკემბრამდე შტატიან თანამშრომლებთან ერთად, 100-ზე მეტი შტატგარეშე თანამშრომელი მოემსახურება. ერთწლიანი ხელშეკრულები თბილისელებს ორ მილიონზე მეტი დაუჯდებათ.

შტატგარეშე თანამშრომლებს ხელფასს მერი თავისი შეხედულებით უნიშნავს. ოპოზიციას მიაჩნია, რომ კალაძე ამ ნორმას ბოროტად იყენებს და მასთან დაახლოებულ მერიის თანამშრომლებს დიდ ანაზღაურებას აძლევს.

თბილისის მერიაში შტატგარეშე თანამშრომლების რიცხვის ზრდას მერიის სამსახურების ფუნქციების გაზრდას უკავშირებენ. სახელდება რამდენიმე კონკრეტული სფერო -უსაფრთხოება და მუნიციპალური ინსპექცია.

ოპოზიციის ინფორმაციით, კახა კალაძე მომავალ წელსაც ყველაზე მაღალ ხელფასს ბიუჯეტიდან პიარის დეპარტამენტის თანამშრომლებს გადაუხდის.

წინასაახალწლოდ საქალაქო სამსახურის უფროსებს, გამგებლებს, ადმინისტრაციის მაღალანაზღაურებად პირებს ხელფასი ორჯერ ჩაერიცხათ, აქედან ერთი ზუსტად ხელფასის ოდენობის პრემია იყო. მათ შორის, მხოლოდ ღამის ეკონომიკის მინისტრმა, 8.000-მდე ლარი აიღო.

5.917.172 ლარი დეკემბერში მხოლოდ ხელფასისთვის დაიხარჯა. ამის გარდა, მერიამ 4.528.341 ლარი პრემიებში, 600 ათასზე მეტი კი დანამატებში გადარიცხა.

2-ნახევარი მილიონი დაუჯდა მერიას მხოლოდ შტატგარეშე თანამშრომლებისთვის ხელფასის და პრემიის ანაზღაურება. ამ მონაცემებში არ შედის მერიის შპს-ების და სააქციო საზოგადოების თანამშრომლების თანამდებობრივი სარგოები.

რუსთავი 2

„სილქნეტისა“ და „ჯეოსელის“ აბონენტებს ტარიფი 1-ლი მარტიდან აღარ გაუძვირდებათ

„სილქნეტისა“ და „ჯეოსელის“ აბონენტებს ტარიფი დროებით აღარ გაუძვირდებათ. ამის შესახებ კომპანია „სილქნეტის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული. ცნობისთვის, კომპანია სატარიფო ცვლილებებს 1-ლი მარტიდან გეგმავდა.

„ბიზნესპრესნიუსი“ კომპანიის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ.

– საზოგადოებას გვინდა კიდევ ერთხელ განვუმარტოთ, რომ კომპანია „სილქნეტის“ მთავარი პრიორიტეტია აბონენტთა ინტერესების გათვალისწინებით მაქსიმალურად კომფორტული მომსახურებისა და პაკეტების შეთავაზება.

ორი კომპანიის შერწყმის შემდეგ, გაჩნდა კონვერგენტული (გაერთიანებული) პროდუქტების შეთავაზების აუცილებლობა. სილქნეტის თანამშრომლების მრავალთვიანი დაძაბული შრომის შედეგად, გამოვიტანეთ ახალი გაერთიანებული პაკეტები, რაც საზოგადოებას 2019 წლის 16 იანვარს შევატყობინეთ. ამის შემდეგ, მოხდა მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარის მიერ განცხადების გაკეთება, სადაც დაფიქსირდა ჩვენ ახალ პროდუქტებზე განსხვავებული მოსაზრება და მისი მხრიდან ეს ფასების გაძვირებად იქნა შეფასებული, ასევე მან დააფიქსირა კვლევის ჩატარების აუცილებლობა. მარეგულირებელ კომისიასთან და პირადად მის თავმჯდომარესთან სილქნეტის მენეჯმენტის ყოველდღიური კომუნიკაციის შედეგად, კომპანია მივიდა გადაწყვეტილებამდე, რომ 1) დაველოდოთ მათ მიერ დაანონსებულ კვლევის შედეგებს 2) კომპანიამ დამოუკიდებლად ჩაატაროს კვლევა უცხოელი ექსპერტების საშუალებით.

იმედი გვაქვს, რომ ეს კვლევები გონივრულ ვადებში ჩატარდება და მოგვცემს სწორი სურათის დანახვის საშუალებას. აქვე, გვინდა ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხი დავაფიქაროთ, რომ ახალ პაკეტებში მოხდა ინტერნეტის ერთეულის ფასის გაიაფება და არა გაძვირება სილქნეტი იმედს იტოვებს რომ კვლევები გონივრულ ვადებში დასრულდება და მათ დასრულებამდე ვაკეთებთ განცხადებას ახალი პროდუქტების ბაზარზე გამოტანის დროებით შეჩერებასთან დაკავშირებით, – ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ „სილქნეტი“ და „მაგთიკომი“ ტარიფების გაზრდას გეგმავენ. თუმცა, კომუნიკაციების კომისია ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება და კომპანიებს მოუწოდა, რომ ტარიფების ზრდა დროებით შეაჩეროს. ამ ეტაპზე უცნობია „მაგთიკომის“ გადაწყვეტილება, გაითვალისწინებს თუ არა კომისიის მოწოდებას და შეაჩერებს თუ არა ტარიფების ზრდას.

კომერსანტი

კომერციული ბანკების მიმართ პრეტენზიები 127%-ით გაიზარდა

2018 წლის იანვარ-ნოემბერში მომხმარებელთა მხრიდან კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსოების მიმართ 6.859 საჩივარი დაფიქსირდა, საიდანაც თითქმის 81% კომერციულ ბანკებზე მოდის. ეროვნული ბანკის სტატისტიკის მიხედვით, გასულ წლის 11 თვეში ბანკების მიმართ 5.541 საჩივარი შევიდა. მხოლოდ ნოემბერში ბანკების მუშაობით უკმაყოფილო 699 ადამიანი იყო, რაც 127%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. შარშან ნოემბერში 302 საჩივარი დაიწერა.

2018 წლის ნოემბრის პრეტენზიების სამეულში შედიან:

1) მიმდინარე ანგარიში – 239 განაცხადი

2) სამომხმარებლო სესხი – 89 განაცხადი

3) საკრედიტო ბარათი – 45 განაცხადი

პრეტენზიების შინაარსის მიხედვით, ჯამში შემოსული პრეტენზიების დაახლოებით ნახევარი ტრანზაქციებს და მომსახურებას უკავშირდება. რაც შეეხება 2017 წელს, მაშინ ბანკების მიმართ 3 665 საჩივარი შევიდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 28,2%-ით მეტია. 2016 წელს ბანკებს პრეტენზიით 2.857-მა ადამიანმა მიმართა. ნოემბერში დაფიქსირებული პრეტენზიებიდან თითქმის 43% ბანკებმა უსაფუძვლოდ მიიჩნიეს, სულ 302 განაცხადი. საფუძვლიანად 227 განაცხადი, დანარჩენის განხილვა კი ჯერ არ დასრულებულა. კომერციულ ბანკებთან ერთად 2018 წლიდან სებ-ში აღირიცხება მიკროსაფინანსოებთან დაკავშირებული პრეტენზიები. კერძოდ, მიმდინარე წლის 11 თვეში მისო-ებთან დაკავშირებით 1 318 პრეტენზია დაფიქსირდა. მხოლოდ ნოემბერში კი 112 საჩივარი შევიდა, საიდანაც ყველაზე მეტი – 95 საჩივარი სამომხმარებლო სესხზე დაფიქსირდა, 7 – მომენტალურ განვადებაზე. აღსანიშნავია, რომ ბანკების ანალოგიურად მომხმარებელთა პრეტენზიების დიდი ნაწილს უსაფუძვლოდ მიიჩნევენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებშიც. ნოემბერში დაფიქსირებული 112 პრეტენზიიდან მისო-ებმა საფუძვლიანად მხოლოდ 38 ერთეული მიიჩნია, 65 კი უსაფუძვლოდ. ცნობისათვის, მომხმარებელთა ცხელი ხაზი ეროვნულ ბანკში 2011 წლიდან მოქმედებს. პრეტენზიების სტატისტიკაც მას შემდეგ იწარმოება.

2018 წელს მსხვილფეხა ცოცხალი საქონლის თითქმის 14% ექსპორტზე გავიდა

საქართველოდან მსხვილფეხა საქონლის სულადობრივი მაჩვენებელი მცირდება. ამის ერთ-ერთი მიზეზი ქვეყნიდან ცოცხალი პირუტყვის ექსპორტია. მხოლოდ შარშან ექსპორტზე 127 139 ცოცხალი მსხვილფეხა პირუტყვი გავიდა, რაც მთლიანი წარმოების თითქმის 14%-ია.

საქართველოში ცოცხალი პირუტყვის სიმცირეზე „ბიზნესპრესნიუსი“ უკვე წერდა. როგორც მაშინ სასაკლაოების მეპატრონეები ჩვენთან საუბრისას აცხადებდნენ, ბოლო წლებში მათთან მიმართვიანობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა. ისინი ამ ყველაფერს ცოცხალი საქონლის ექსპორტის ზრდას უკავშირებდნენ და აცხადებდნენ, რომ თუ ქვეყნიდან მსხვილფეხა საქონლის გაყვანა არ შეიზღუდებოდა, ქართულ ბაზარზე საქონლის ხორცით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდებოდა და შესაბამისად, გაიზრდებოდა ფასიც.

1-ლი იანვრიდან კი საქართველოდან 140 კგ-ზე ნაკლები ცოცხალი მსხვილფეხა საქონლის ექსპორტი აიკრძალა. როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, აკრძალულია ქვეყნიდან არანაკლებ 140 კგ ცოცხალი მასის მქონე მსხვილფეხა საქონლის (მოზარდის) ექსპორტი.

რაც შეეხება სტატისტიკას, ბოლო წლებში მსხვილფეხა საქონლის სულადობის შემცირების ტენდენცია შეინიშნება. კერძოდ, 2016 წლის მესამე კვარტალში ქვეყანაში სულ აღრიცხული იყო 1 042,6 ათასი სული საქონელი, 2017 წლის მესამე კვარტალში – 965,9 ათასი, ხოლო 2018 წლის მესამე კვარტალში – 923 ათასი.

სურსათის ეროვნული სამინისტროს მიერ „ბიზნესპრესნიუსისთვის“ მოწოდებული ინფორმაციით, 2018 წელს საქართველოდან სულ ექსპორტზე გავიდა 127 139 სული მსხვილფეხა პირუტყვი, აქედან 79.250 სულის ექსპორტი აზერბაიჯანში, ხოლო 47.889 სულის ექსპორტი ერაყში განხორციელდა.

ბპნ

„ავტოდილერები იმ სტანდარტებს მოერგნენ, რომლებიც კონკრეტულ ქვეყნებშია დასაშვები“

2018 წელს საქართველოდან მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი 85,7%-ით გაიზარდა. შარშან ქვეყნიდან 54.502 ერთეული მსუბუქი ავტომობილი გავიდა, რაც ბოლო წლების მაქსიმალური მაჩვენებელია.

ავტოდილერების ნაწილი და ექსპერტები რეექსპორტის ზრდას სხვადასხვა ფაქტორებს უკავშირებენ. როგორც ისინი „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებენ, ქართველი ავტოდილერები გარკვეულწილად მოერგნენ იმ სტანდარტებს, რომელიც კონკრეტულ ქვეყნებში არსებობს, რამაც რეექსპორტის მოცულობა, რამდენიმეწლიანი ჩავარდნის შემდეგ გაზარდა.

ავტოდილერების ნაწილი აცხადებს, რომ ამას დაემატა საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის ზრდა და ჩვენს ქვეყანაში აპრობირებული საჭის გადატანის მეთოდი, რის გამოც ხშირად დილერებს ავტომობილები შემოჰყავთ და შემდეგ სომხეთში გაჰყავთ.

აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში საქართველო რეგიონში ავტომობილების ნომერ პირველ რეექსპორტიორ ქვეყნად ითვლებოდა. ყველა დიდი რაოდენობით ავტომანქანა ყაზახეთში გადიოდა. თუმცა მას შემდეგ, რაც ყაზახეთი ერთიანი ევრაზიული კავშირის წევრი გახდა, საქართველოდან ყაზახეთში ავტომანქანების ექსპორტი ფაქტობრივად, შეწყდა. მოგვიანებით, 2014 წელს ქართული ავტოდილერები აზერბაიჯანის მიერ „ევრო-4“-ის სტანდარტზე გადასვლამ დააზარალა. ამ სტანდარტის მიხედვით, აზერბაიჯანში 2005 წლამდე გამოშვებული ავტომანქანების შეყვანა აიკრძალა, შედეგად ექსპორტირებული მანქანების რაოდენობაც მნიშვნელოვნად შემცირდა. თუმცა მერე უკვე ზრდა დაიწყო. მაგალითად, 2018 წელს საქართველოდან ექსპორტზე სულ 54.502 ავტომობილი გავიდა, რაც 85,7%-ით მეტია 2017 წელთან შედარებით. მაშინ მანქანების რეექსპორტმა 29.346 ერთეული შეადგინა. რაც შეეხება ფულად შემოსავლებს, 2018 წელს მანქანების რეექსპორტიდან შემოსულმა თანხამ 408,936 მლნ დოლარი შეადგინა, 2017 წელს კი 234.810 მლნ დოლარი.

საქართველოდან ავტომობილების რეექსპორტის მიხედვით, ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე სომხეთია, სადაც 2018 წელს 28.550 ავტომობილი გავიდა, 2017 წელს კი – 14.362 ერთეული. მას მოსდევს აზერბაიჯანი, სადაც გასულ წელს საქართველოდან 13.047 ავტომობილის რეექსპორტი განხორციელდა, ხოლო 2017 წელს – 4.548 ერთეულის.

„ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის“ ხელმძღვანელი დავით მესხიშვილი „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ რეექსპორტის ზრდა ქართველი ავტოდილერების მიერ ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესწავლამ და მორგებამ გამოიწვია. მისი თქმით, ყაზახეთის ბაზარი, ახლა უკვე სხვა მეზობელმა ქვეყნებმა ჩაანაცვლა.

– ამ ბიზნესში პრობლემა შეიქმნა მას შემდეგ, რაც ყაზახეთმა, ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების და მათი კანონმდებლობიდან გამომდინარე, ჩვენ რეექსპორტიორთა ბიზნესს ძალიან დიდი დარტყმა მიაყენა. ახლა სტატისტიკაში ასეთი ტიპის ცვლილებები უნდა მივაწეროთ იმას, რომ ჩვენი ავტოდილერები გარკვეულწილად მოერგნენ იმ სტანდარტებს, რომელიც კონკრეტულ ქვეყნებშია დასაშვები. ყაზახეთის შემდეგ შეისწავლეს სომხეთში და სხვა მეზობელ ქვეყნებში არსებული მოთხოვნები და იმაზე გადაეწყვნენ, – აცხადებს დავით მესხიშვილი.

ავტოიმპორტიორი კომპანია „იამოტოს“ ხელმძღვანელი პაატა მაისურაძე აცხადებს, რომ ავტომობილების რეექსპორტის ზრდა არ არის დაკავშირებული საქართველოს ეკონომიკური სვლებსა, თუ ბიზნესპირობების გაუმჯობესებასთან. მისი თქმით, ეს განაპირობა რუსეთის სავაჭრო ზონამ, სადაც საქართველოდან ავტომობილების ყველაზე დიდი რეექსპორტიორი სომხეთიც შედის.

– ეს უფრო თვითონ იმ ქვეყნების მოთხოვნამ განაპირობა, რომლებიც რუსეთის სავაჭრო ზონაში შედიან. მაგალითად, სომხეთი, სადაც საქართველოდან დიდი რაოდენობით ავტომობილი შემდგომ მისი სხვა ქვეყნებში რეექსპორტის მიზნით გადის, – აცხადებს პაატა მაისურაძე.

მისი თქმით, ამას ემატება, საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის როლი, სადაც ავტომობილები ფოთის პორტში ფიქსირდება, ან მხოლოდ საჭის გადატანის მიზნით შემოჰყავთ, შემდეგ კი სხვა ქვეყნებში გაედინება.

– საკმაოდ მოსახერხებელი აღმოჩნდა საქართველოში საჭის გადატანა და შემდეგ ამ ავტომობილების რეექსპორტი. გარდა ამისა, საქართველოს ძალიან ბევრს მოქალაქეს ავტომობილები იაპონიიდან ფოთში შემოჰყავს და შემდგომ სომხეთის გავლით სხვადასხვა ქვეყნებში აგზავნიან, ანუ საქართველო სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციას ასრულებს, რომელსაც ემატება საჭის გადატანის სერვისი. ამიტომ, მე ვფიქრობ, რეექსპორტის ასეთი ზრდა სრულიად ლოგიკურია, – აცხადებს პაატა მაისურაძე.

„იამოტოს“ ხელმძღვანელისგან განსხვავებით, სტატისტიკას არ ენდობა „რობანი მოტორსის“ თანადამფუძნებელი ელგუჯა ჯამაგიძე. როგორც საავტომობილო სფეროს ექსპერტი „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი გაზრდილია, თუმცა არა ამდენად.

– ამ ციფრის არ მჯერა, 86%-მდე გაზრდილი ვერ იქნება. ზოგადად, გაზრდილია, მაგრამ ალბათ, მაქსიმუმ, 30-40%-ით. საინტერესო იქნებოდა თვითონ ქვეყნების ჩაშლა, ვგულისხმობ, სად რომელი ბრენდის ავტომობილი გავიდა და ა.შ. ამის შემდეგ უფრო შევძლებთ სტატისტიკის გაანალიზებას. ამ მონაცემების მიხედვით ავტომობილები ევროპაშიც გადის, მაგრამ მე ვფიქრობ, იქ არსებულ სტანდარტებს ვერ მოერგება ავტომობილები, რომელიც ჩვენთან შემოჰყავთ. ჩვენ ძირითადად საშუალო და დაბალი დონის ავტომობილების ექსპორტს ვახდენთ. მართალია, საქართველოდან ავტომობილები გერმანიაში და იტალიაში გადის, მაგრამ ერთეულები, ძირითადად სპორტული, იაპონური მანქანები, რომელიც ევროპაში ძალიან ძვირია. ეს კი საერთო სტატისტიკაზე დიდი გავლენას ვერ მოახდენს, – აცხადებს ელგუჯა ჯამაგიძე.

ბპნ

თერჯოლასთან ლევან დალაქიშვილმა პოლიციის მანქანა ჩაცხრილა

რა მოხდა 5 იანვარს

5 იანვარს თერჯოლის მთავარ გზაზე დაცვის პოლიციის მანქანა ჩაცხრილეს. ლევან დალაქიშვილმა ავტომობილს რამდენჯერმე ესროლა. ადგილზევე მყოფ პოლიციას სროლის ხმა საახალწლო ფეიერვერკში აერია, შემდეგ კი სამართალდამცველები მიხვდნენ, რომ ცეცხლი მათ გაუხსნეს და სამინისტროს კუთვნილი ავტომობილი ჩაცხრილული იყო.

შემთხვევის ახლოს მდებარე მაღაზიის მფლობელი კურიერთან ყვება, რომ დანაშაულზე პოლიციას რეაგირება არ მოუხდენია და ტერიტორია მალევე დატოვეს. თანაც ისე, რომ შემთხვევის ადგილზე დამონტაჟებული კამერების ჩანაწერებიც არ ამოუღიათ და არ დაინტერესებულან, ვინ იყო პირი, რომელმაც ხალხმრავალ ადგილზე პოლიციის მისამართით რამდენჯერმე ისროლა.

რატომ არ მოახდინეს რეაგირება გასროლაზე სოფელ ახალ თერჯოლასთან, ამ კითხვაზე საუბარი არ სურთ სამართალდამცველებს, რომლებიც შემთხვევის თვითმხილველებიც და დაზარალებულებიც იყვნენ.

ლევან დალაქიშვილი პოლიციის მანქანის დაზიანების შემდეგ სოფელ ჩხარში ავიდა, იქ მცხოვრები სამართალდამცველის, ვასო აბულაძის, სახლთან მივიდა და მისი მისამართით ცეცხლი გახსნა.

ამ დროს სახლში პოლიციელი, მეუღლესთან და 5 წლის შვილთან ერთად, იყო. რამდენჯერმე ნასროლი ტყვია ამჯერადაც ავტომობილს მოხვდა. დამნაშავემ კი გაქცევა მოახერხა.

პოლიციაზე თავდასხმაში ბრალდებული ლევან დალაქიშვილი წარსულში ნასამართლევია. 5 იანვარს სამართალდამცველების მანქანის ჩაცხრილვასაც მას და პოლიციელ ვასო აბულაძეს შორის არსებულ პირად კონფლიქტს უკავშირებენ.

სოფლის მოსახლეობა ყვება, რომ ლევან დალაქიშვილს, რომელმაც ციხე საპრეზიდენტო არჩევნებამდე 2 თვით ადრე დატოვა, მფარველობდნენ და არ აკავებდნენ. მიზეზად კი წინასაარჩევნო პერიოდში დალაქიშვილის მმართველი პარტიის სასარგებლოდ აქტიურობას ასახელებენ.

კურიერს წყარო უყვება, რომ ლევან დალაქიშვილის დაკავების გადაწყვეტილება თერჯოლის პოლიციის მაღალჩინოსნებმა მხოლოდ მას შემდეგ მიიღეს, რაც სოფელში მოსახლეობაც და დაზარალებული სამართალდამცველებიც, დამნაშავეების დაუსჯელობის გამო, უკმაყოფილებას ღიად გამოთქვამდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციითაც, დალაქიშვილი მომხდარიდან მეშვიდე დღეს, 11 იანვარს, აიყვანეს.

გამოძიება დაკავებული ახალგაზრდის წინააღმდეგ ნივთის დაზიანებისა და პოლიციელზე განხორციელებული მუქარისა და ძალადობის ფაქტებზე მიმდინარეობს.

„თამარ მოდებაძეს ვეჩხუბე, ტილოები დავუხიე და მძინარე დავტოვე“

რას ყვება ქალი, რომლის სახლშიც ქართველი მხატვარი გარდაცვლილი იპოვეს

ქალს, რომელიც, შესაძლოა, იტალიაში მოკლული ცნობილი ქართველი მხატვრის საქმის მთავარი ფიგურანტი გახდეს, „კურიერმა“ საქართველოში მიაგნო.

ქართველი ემიგრანტი ადასტურებს, რომ იტალიაში მხატვარ თამარ მოდებაძეს ეჩხუბა, ტილოები დაუხია და კონფლიქტის შემდეგ მძინარე სახლში მიატოვა.

ჩხუბის შემდეგ ემიგრანტი პირდაპირ რომის აეროპორტში წავიდა და საქართველოში გამოფრინდა.

– აქ ვარ, არსად ვიმალები და მზად ვარ თანამშრომლობისთვის ჩვენს სამართალდამცველებთან, – აცხადებს ქალი.

ცნობილი ქართველი მხატვრის ცხედარი ამ დრომდე ნეაპოლის პროზექტურაშია დასვენებული.

მხატვრის და ამბობს, რომ მისი ოჯახის წევრი ფულის გამო მოკლეს. თამარ მოდებაძე, რომლის ნახატებიც რამდენიმე ათასი ევრო ღირდა, ფულს ბანკში არ ინახავდა და თან დაჰქონდა, საბედისწერო დღეს, სავარაუდოდ, მას მთელი დანაზოგი ჩანთაში ედო.

ცნობილი ქართველი მხატვრის ცხედარს ძალადობის კვალი აღენიშნება.

ნეაპოლში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები ამბობენ, რომ მოდებაძე ქართველმა ემიგრანტმა მოკლა.

დიდ დიღომში „საქართველოს ბანკის“ ფილიალი დააყაჩაღეს

თბილისში, დიდ დიღომში, „საქართველოს ბანკის“ ერთ-ერთი ფილიალი დააყაჩაღეს.

არავინ დაშავებულა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

პოლიციამ ქვემო ქართლში დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1969 წელს დაბადებული რ.ს. დააკავეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლიციამ, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 10 შეკვრად დაფასოებული, ჰეროინის შემცველი ნარკოტიკული საშუალება ამოიღო.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

გორში ელიტკლუბი „ვარდის უბანი“ გაქურდეს

გუშინ, 27 იანვარს, გორში ელიტკლუბი „ვარდის უბანი“ გაქურდეს.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, სამეფოს ქუჩაზე მდებარე კლუბიდან ხმის გამაძლიერებელი აპარატურა მოპარული. ადგილობრივი მცხოვრებლების თქმით, გაქურდული ობიექტი შემოსავლების სამსახურის გვერდით მდებარეობს და, შესაძლოა, ქურდობის ფაქტი სათვალთვალო კამერებმაც დააფიქსირეს.

მომხდარ ფაქტზე შსს საგამოძიებო მოქმედებებს აწარმოებს. ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მიხედვით მიმდინარეობს, რაც ქურდობას გულისხმობს და ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით სამიდან 5 წლამდე.

ქუთაისში 4 სასურსათო მაღაზიიდან ფული წაიღეს

ქუთაისში ნიკეასა და პასილოკის დასახლებებში 4 სასურსათო მაღაზია გაქურდეს. მაღაზიებიდან წაღებულია თანხა. ამ დროისთვის თანხის ოდენობა დაუზუსტებელია.

შემთხვევა წუხელ მოხდა. ადგილობრივები ირწმუნებიან, რომ ბოლო პერიოდში მაღაზიების გაქურდვის ფაქტები გახშირდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ქურდობაში არასრულწლოვანი ფიგურირებს, რომელიც იდენტიფიცირებულია და მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. მომხდარზე გამოძიება 177-ე მუხლით დაიწყო, რაც ქურდობას გულისხმობს.

წყალტუბოში საშაურმე აფეთქდა

26 იანვარს წყალტუბოში, ერთ-ერთ საშაურმეში, აფეთქება მოხდა. შემთხვევა გაზის გაჟონვამ გამოიწვია.

აფეთქების შედეგად დაშავებულია საშაურმის სამი თანამშრომელი.

დაშვებულები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ დამწვრობის ცენტრში გადაიყვანა.

სუსმა ვაკის რაიონის გამგებლის მოადგილე და წყალტუბოს საკრებულოს თავმჯდომარე დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ვაკის რაიონის გამგებლის მოადგილე თეიმურაზ ჩოჩუა დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ თეიმურაზ ჩოჩუამ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გრიგოლ ივანეიშვილს დააკავშირა უცხოელი ბიზნესმენი, რომელიც ქალაქ წყალტუბოში მდებარე საკრებულოს ყოფილი შენობის შესყიდვით იყო დაინტერესებული. გრიგოლ ივანეიშვილი უცხოელ ბიზნესმენს აღნიშნული შენობის წინასწარ შეთანხმებულ ფასად აუქციონზე გატანას და აღნიშნული აუქციონის გზით ხსენებული ქონების შესყიდვაში დახმარებას დაჰპირდა, რის სანაცვლოდაც ქრთამის სახით 250.000 ლარის გადახდა მოსთხოვა.

თავის მხრივ, თეიმურაზ ჩოჩუამ გრიგოლ ივანეიშვილს დახმარება გაუწია თანხის გადახდის გარანტად, უცხოელი ბიზნესმენის მიერ დაფუძნებული კომპანიის 16%-იან წილის ივანეიშვილის ნდობით აღჭურვილი პირის საკუთრებაში გადაცემასა და 250.000 ლარის ქრთამის სახით აღებაში.

2018 წლის 26 დეკემბერს თვითმმართველმა ერთეულმა წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი ქ. წყალტუბოში, შანიძის ქუჩა №1-ში მდებარე შენობა-ნაგებობისა და მიწის ნაკვეთის შესყიდვასთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო უცხოელმა ბიზნესმენმა და გრიგოლ ივანეიშვილის დახმარებით შეძლო აღნიშნული შენობის და მიწის ნაკვეთის წინასწარ შეთანხმებულ და ხელსაყრელ ფასად შეძენა. დანაშაულის შენიღბვის მიზნით, გრიგოლ ივანეიშვილმა უცხოელ ბიზნესმენთან გააფორმა ფიქტიური სესხის ხელშეკრულება და ამ უკანასკნელს 250.000 ლარი თავისი შვილის ანგარიშზე ჩაარიცხვინა. აღნიშნული გადარიცხვის შემდეგ, 2019 წლის 25 იანვარს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გრიგოლ ივანეიშვილი სუს-ის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა დააკავეს.

გამოძიება თეიმურაზ ჩოჩუას მიმართ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 25-338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით 11-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

ბ.ქ.-მ ავტომანქანებიდან 41 აკუმულატორი მოიპარა

სამართალდამცველებმა ავტომობილების გაქურდვისთვის 3 პირი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს, დანაშაული 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისან-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ბ.ქ., 2000 წელს დაბადებული ა.ყ. და ასევე, 2000 წელს დაბადებული გ.ლ., ქურდობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს. დანაშაული 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბ.ქ.-მ თბილისის სხვადასხვა უბანში და ვაზიანში ავტოსადგომებზე, ქუჩებში და გზისპირას გაჩერებული სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანებიდან 41 აკუმულატორი მოიპარა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

რაც შეეხება ა.ყ.-ს და გ.ლ.-ს, გამოძიებით დადგენილია, რომ მათ მიმდინარე წლის 22 იანვარს თბილისში, ბოჭორმის ქუჩაზე, 2 მოქალაქის კუთვნილი ავტომანქანები გაქურდეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. სამართალდამცველებმა ორივე პირი დანაშაულიდან უმოკლეს დროში თბილისში დააკავეს.

გამოძიება ქურდობის ფაქტებზე საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლით მიმდინარეობს“, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ბოლო პერიოდში თბილისში, ავტომობილების ქურდობის და ქურდობის მცდელობის ბრალდებით, სულ დაკავებულია 11 პირი, დანაშაულის ჩადენაში მხილებულია 3 არასრულწლოვანი.

კანადაში ქართველი ქალი თანამშრომელმა მოწამლა

ტორონტოში კომპანია „ჰადსონს ბეის“ ქართველი თანამშრომელი მაცა ბელიშვილი მისმა თანამშრომელმა მოწამლა. ამის შესახებ ინფორმაცია კანადურმა ტელევიზიამ გაავრცელა და მას ვრცელი სიუჟეტიც მიუძღვნა.

გამოძიების თანახმად, „ჰადსონს ბეის“ თანამშრომელი კონიკა იანგი ქართველ ქალს, რომელიც კომპანიაში მენეჯერად მუშაობდა, რამდენიმე თვის განმავლობაში მიზანმიმართულად წამლავდა – მას სასმელი წყლის ბოთლში საყოფაცხოვრებო ქიმიას ურევდა, რამაც ბელიშვილის ჯანმრთელობას პრობლემები შეუქმნა.

ეს ფაქტი კომპანიაში დამონტაჟებულმა სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს.

მომხდარის გამო ბრალდებული ქალი უკვე დაკავებულია.

რა გახდა დანაშაულის ჩადენის მოტივი, ჯერჯერობით უცნობია.

ბათუმში სააბაზანოში ხელფეხშეკრული ახალგაზრდა აღმოაჩინეს

ბათუმში, ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის სააბაზანოში, ხელფეხშეკრული ახალგაზრდა აღმოაჩინეს. მას სხეულზე ძალადობის კვალიც ემჩნეოდა.

„ტვ იმედის“ ინფორმაციით, დაზარალებულმა ერთ-ერთი ბრალდებულისგან გასული წლის აგვისტოში 18.000 დოლარი ისესხა და, არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, ვალს არ აბრუნებდა.

მის ოჯახში ყვებიან, რომ მევალე მათ ურეკავდა და თანხას მოითხოვდა, რომლის გარეშეც დატყვევებულის გათავისუფლებას არ აპირებდა.

ოჯახი 5 დღის განმავლობაში ცდილობდა თანხის შეგროვებას, მოგვიანებით კი დახმარებისთვის პოლიციას მიმართა.

ლილოს ბაზრობასთან მანქანამ 61 წლის ქალი გაიტანა

ქალი ადგილზე დაიღუპა

თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ლილოს ბაზრობასთან, ავტომანქანა ქვეითად მოსიარულეს შეეჯახა. შემთხვევის შედეგად 61 წლის ქალი ადგილზე გარდაიცვალა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

თბილისში სატვირთო მანქანა ამწეს დაეჯახა

2 ადამიანი დაშავდა

თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე მომხდარი ინციდენტის დროს 2 ადამიანი დაშავდა. ერთ-ერთი კომპანია ადგილზე სარეკლამო ბანერს ამონტაჟებდა, ქუჩაში მიმავალმა სატვირთო ავტომობილის მძღოლმა კი ამწე ვერ შენიშნა და დაეჯახა.

დაშავებულები საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მომხდარზე გამოძიება უკვე დაწყებულია.

გერმანიამ, საფრანგეთმა და ესპანეთმა მადუროს ულტიმატუმი წაუყენეს



გერმანია, საფრანგეთი და ესპანეთი ვენესუელის პრეზიდენტ ნიკოლას მადუროზე ზეწოლას ზრდიან. სამი ქვეყანა აცხადებს, რომ ვენესუელის დროებით მმართველად ხუან გუაიდოს დაუჭერენ მხარს, თუ ნიკოლას მადურო 8 დღის განმავლობაში ახალი საპრეზიდენტო არჩევნების თარიღს არ დანიშნავს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარტინა ფიტცმა ტვიტერზე დაწერა, რომ ვენესუელელ ხალხს უფლება აქვს, თავისუფლად და უსაფრთხოდ განსაზღვროს საკუთარი მომავალი.

„თუ შემდეგი 8 დღის განმავლობაში ახალი არჩევნები არ გამოცხადდება, მაშინ ჩვენ მზად ვართ, ვენესუელის დროებით პრეზიდენტად ხუან გუაიდო ვაღიაროთ, რომელიც ასეთ პოლიტიკურ პროცესს დაიწყებს“, – წერს მარტინა ფიტცი.

ესპანეთის პრემიერ-მინისტრ პედრო სანჩესის განცხადებით, მან ასეთი ქმედებისკენ ევროკავშირსაც მოუწოდა. სანჩესის მსგავსი განცხადება ჰქონდა ტვიტერზე საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონსაც.

კარაკასში გამართულ მრავალრიცხოვან აქციაზე ოპოზიციის ლიდერმა ხუან გუაიდომ საკუთარი თავი ვენესუელის პრეზიდენტად 23 იანვარს გამოაცხადა.

ხუან გუაიდო ვენესუელის დროებით პრეზიდენტად უკვე აღიარეს: არგენტინამ, ბრაზილიამ, გვატემალამ, ჰონდურასმა, საქართველომ, კანადამ, კოლუმბიამ, კოსტარიკამ, პანამამ, პარაგვაიმ, პერუმ, აშშ-მ, ჩილემ, ეკვადორმა.

ნიკოლას მადუროს კი მხარდაჭერა გამოუცხადეს რუსეთმა, ბელარუსმა, თურქეთმა, ბოლივიამ, კუბამ, მექსიკამ და ურუგვაიმ.

* * *

გაიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელმაც ვენესუელაში შექმნილი მდგომარეობა განიხილა. სხდომას აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეოც დაესწრო.

ამერიკული მხარის წინადადებას, განეხილათ ვენესუელაში შექმნილი მდგომარეობა, რუსეთის წინააღმდეგობა მოჰყვა. რუსეთის წარმომადგენელმა ნებეზღნიამ აღნიშნა, რომ ვენესუელაში შექმნილი ვითარება საერთაშორისო სამყაროს საფრთხეს არ უქმნის.

პომპეო ამას არ დაეთანხმა.

– ვენესუელაში მადურომ მაფიოზური და ავტორიტარული რეჟიმი შექმნა. ამ რეჟიმმა ქვეყანა სრულ გაღატაკებამდე მიიყვანა. ხალხიც აჯანყდა. არსებობს ქაოსის რეალური საფრთხე, რაც საერთაშორისო წესრიგს საშიშროებას უქადის, – თქვა პომპეომ.

უმრავლესობამ ამერიკელების პოზიცია გაიზიარა. რუსეთს მხოლოდ ჩინეთმა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ და ეკვატორიალურმა გვინეამ დაუჭირეს მხარი. ინდონეზიამ და კოტ-დივუარმა თავი შეიკავეს.

მაიკ პომპეომ შეკრებილთ მოუწოდა, დაეგმოთ მადუროს რეჟიმი და ნაციონალური ასამბლეისთვის მხარი დაეჭირათ. რუსეთმა ეს დაბლოკა. დადგენილებაც ვერ იქნა მიღებული.

* * *

ამასობაში რუსული კერძო ფირმა „ვაგნერის“ ბოევიკები ვენესუელისკენ მადუროს მხარდასაჭერად გაემართნენ.

– ვენესუელისკენ 400 რუსი მებრძოლი გაემართა, – იტყობინება სააგენტო რეიტერი.

კრემლში ამ ინფორმაციის კომენტარზე უარი განაცხადეს. პუტინის თანაშემწე დიმიტრი პესკოვმა აღნიშნა, რომ მისთვის „ვაგნერის“ ვენესუელაში გამგზავრების ფაქტი უცნობია.

აშშ-ში შათდაუნი დამთავრდა

ტრამპი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით იმუქრება

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა ბიუჯეტს, რომელიც კონგრესმა და სენატმა 26 იანვარს მიიღო. შედეგად შესაძლებელი ხდება 15 თებერვლამდე მთავრობის მუშაობის სრულფასოვანი განახლება.

ბიუჯეტში კედლის აშენებაზე სახსრების გამოყოფაზე საუბარიც არ არის.

თავად ტრამპმა განაცხადა, რომ მექსიკასთან კედლის აშენება აუცილებელია და, თუ 15 თებერვლამდე აღნიშნულ თემაზე შეთანხმება ვერ მოხერხდა, კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებს გამოიყენებს. ამით პრეზიდენტმა მიანიშნა, რომ საგანგებო მდგომარეობის შემოღებას არ გამორიცხავს.

– საგანგებო მდგომარეობის შემოღება შეიძლება, მაგრამ რას მოუტანს ეს ტრამპს? საგანგებო მდგომარეობა ომის დროს ცხადდება. ისმის კითხვა, ვის ეომება ტრამპი? – ამბობს პოლიტოლოგი პიონტკოვსკი.

დღეისთვის კი აშშ-ის მოქალაქეთა უმრავლესობა შათდაუნში ტრამპს ადანაშაულებს. პრეზიდენტის რეიტინგიც დაეცა. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ტრამპის მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებს.

გერმანია ლენინგრადის ბლოკადის მსხვერპლთ 12 მილიონ ევროს გამოუყოფს

გერმანიის მთავრობა მეორე მსოფლიო ომის დროს ლენინგრადის ბლოკადის მსხვერპლთ 12 მილიონ ევროს გამოუყოფს.

ასე შეთანხმდნენ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი მაასი.

აღნიშნული თანხა ლენინგრადელ ომის ვეტერანთათვის განკუთვნილი საავადმყოფოების რეაბილიტაციას მოხმარდება.

უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიამ ბულგარულ ეკლესიაში განხეთქილება გამოიწვია

გაიმართა ბულგარეთის მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომა. განხილვის ძირითადი თემა უკრაინის ერთიანი ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის ცნობის საკითხი იყო.

ამ ნიადაგზე აზრები გაიყო. 7-მა მიტროპოლიტმა მოსკოვის საპატრიარქოს დაუჭირა მხარი, 8-მ – უკრაინელებს.

ბულგარეთის პატრიარქმა ნეოფიტემ განაცხადა, რომ რუსოფილი მიტროპოლიტების შეხედულებები სინოდის სპეციალურმა კომისიამ უნდა შეისწავლოს. საბოლოო გადაწყვეტილებაც ამის შემდეგ იქნება მიღებული.

სავარაუდოდ, თებერვალში ერთიანი უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების პროცესი დაიწყება. პირველი ეკლესია, რომელიც უკრაინელების ავტოკეფალიას აღიარებს, ალბათ, რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესია იქნება.

პოროშენკოს რეიტინგი მკვეთრად გაიზარდა

მსოფლიო პატრიარქის მიერ უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებამ პეტრო პოროშენკოს რეიტინგი მკვეთრად გაზარდა.

დღეისთვის იულია ტიმოშენკოს მხარს 17.8% უჭერს, პოროშენკოს – 17,4%.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ თებერვალში პოროშენკის რეიტინგი კიდევ უფრო გაიზრდება და ის, შესაძლოა, ლიდერადაც მოგვევლინოს.

ფილიპინებზე კათოლიკურ ეკლესიასთან 2 ბომბი აფეთქდა

დაიღუპა 19 ადამიანი, დაშავდა 42

გუშინ, 27 იანვარს, ფილიპინებზე, ღვთისმშობლის სახელობის კათოლიკურ ეკლესიასთან, 2 ბომბი აფეთქდა. დაიღუპა, სულ მცირე, 19 ადამიანი და დაშავდა – 42.

აფეთქება ფილიპინების სამხრეთით მდებარე კუნძულ ხოლოზე მოხდა.

პირველი აფეთქება ადგილობრივი დროით 08:45 სთ.-ზე მოხდა, როდესაც საკვირაო მესა მიმდინარეობდა.

ტერაქტის ადგილზე პოლიცია და სამხედროები მოვიდნენ, როდესაც ეკლესიის მახლობლად მეორე ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა.

დაღუპულთა უმრავლესობა სამოქალაქო პირია.

კუნძულზე, სადაც აფეთქება მოხდა, მუსლიმი ამბოხებულები პერიოდულად თავდასხმებს აწყობენ.

ავსტრიის მოქალაქე პუტინს ქვეყანაში ჯარის შეყვანას სთხოვდა

ავსტრიის სასამართლოს წინაშე ულტრამემარჯვენე დაჯგუფების ლიდერი მონიკა უნგერი წარდგა.

გამოძიებით დადასტურდა, რომ უნგერი რუსეთის სპეცსამსახურებთან დანაშაულებრივ კავშირში შევიდა. ის აპირებდა, შეექმნა სახელმწიფო, სახელწოდებით „ფედერაციული ავსტრია“ და მოეწყო გადატრიალება.

უნგერი ვლადიმერ პუტინს ქვეყანაში ჯარების შეყვანას სთხოვდა, რათა ხელისუფლებაში მოსვლაში დახმარებოდა.

სასამართლომ უნგერს 14 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

პუტინისა და „ედინაია როსიას“ რეიტინგი მკვეთრად დაეცა

პუტინისა და „ედინაია როსიას“ რეიტინგები დაეცა. „ედინაია როსიას“ ახლა 32,4% უჭერს მხარს. 2 თვის წინ მისი რეიტინგი 38% იყო, შარშან კი – 66%.

თავად პუტინის რეიტინგიც ვარდნას განაგრძობს. თუ ერთი წლის წინ მას მხარს უჭერდა 70%, ახლა ეს მაჩვენებელი 30%-მდე დაეცა.

– რეიტინგის ვარდნამ, შესაძლოა, რუსეთის პრეზიდენტს ახალი სამხედრო ავანტიურებისკენ უბიძგოს. თუ საით განახორციელებს დარტყმას, ეს თავად პუტინმაც არ იცის. უდავოა ერთი: ის იქ გააქტიურდება, სადაც სწრაფი და იოლი გამარჯვების იმედი ექნება, – მიიჩნევს პოლიტოლოგი ტარას ჩერნოვილი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ჯადოთვალი-წყევლას, დეპრესიას, უიმედობას, შებოჭილობას, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, თვითმკვლელობის სურვილს და სხვა პრობლემებს. ტელ: 599-49-84-23 ნანა. ფირმა „იადიგარ დაუდი“.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ჰეიგმა გაფართოებული შემადგენლობა გამოაცხადა

2 კვირაში სარაგბო სანაკრებო სეზონი იწყება. საქართველოს ეროვნული გუნდის სამწვრთნელო შტაბმა 2019 წლის საწყისი 2 მატჩისთვის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა. გუნდში შერეულად არიან გამოცდილი და ახალგაზრდა მორაგბეები. ნაკრების კვართს 5 მორაგბე პირველად მოირგებს, ხოლო 7 მათგანს ჯერ 10 კეპიც არ უგროვდება.

2018 წლის რაგბი ევროპაზე, რომელიც მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპიც იყო, განვითარებული მოვლენების შემდეგ რუმინეთი, ესპანეთი და ბელგია დაისაჯნენ და შედეგად მათ ბოლო 3 ადგილი დაიკავეს, რის გამოც წლევანდელ რაგბი ევროპის სეზონის დასაწყისში საქართველოს მეტოქეები მთავარი კონკურენტები, რუმინეთი და ესპანეთი იქნებიან.

ბორჯღალოსნები რუმინელებს 9 თებერვალს კლუჟში, საქართველოს დროით 16 საათზე შეხვდებიან, ხოლო ესპანეთს ავჭალაზე არენაზე 17 თებერვალს, 18 საათზე უმასპინძლებენ. რაგბი ევროპას ახალ სეზონზე ნაკრების მთავარი მწვრთნელი მილტონ ჰეიგი ამბობს, რომ დებიუტანტების გამოცდა სურს, აინტერესებს რა სარგებელს მოუტანენ ისინი ნაკრებს.

საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:

შერკინება: გოგიჩაიშვილი, მატარაძე, მამუკელაშვილი, ჭყოიძე, ხუროშვილი, გიგაშვილი, მელიქიძე, ჩილაჩავა, გიგაური, ჭეიშვილი, ქერიყოშვილი, ნემსაძე, ჯავახია, საღინაძე, ცუცქირიძე, გორგაძე, თხილაიშვილი;

ხაზი: ლობჟანიძე, აფრასიძე, ბეგაძე, აბჟანდაძე, შარიქაძე, მალაღურაძე, კვესელაძე, მოდებაძე, ძნელაძე, კოშაძე, აფციაური, მათიაშვილი.

ბითაძე ისევ საუკეთესოა

გოგა ბითაძის წყალობით პოდგორიცეს ბუდუჩნოსტმა ევროლიგაში მორიგი მატჩი მოიგო. მე-20 ტურში ჩერნოგორიელმა კლუბმა ესპანურ გრან კანარიას უმასპინძლა და 75:70 დაამარცხა, ხოლო 19 წლის ქართველი ცენტრი მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

საინტერესოა, რომ ევროლიგის საწყის 17 ტურში ბუდუჩნოსტს 3 მოგება ჰქონდა, ხოლო ბოლო 3 ტურში კიდევ 3 გამარჯვება მიითვალა და ამაში ქართველი ცენტრის წილი უდიდესია. გასულ მატჩში ბითაძე სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, თუმცა მოედანზე 29 წუთი გაატარა.

აღნიშნულ დროში ბითაძემ 16 ქულა, 16 ქულა, 7 მოხსნა, 3 დაფარება და 2 პასი მიითვალა. გოგამ 7-დან 5 ორქულიანი და 7-დან 6 საჯარიმო ჩააგდო, ხოლო ბურთი მეტოქის ფარზე ორჯერ მოხსნა. გოგას მარგი ქმედების კოეფიციენტმა 27 შეადგინა, რაც ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი გამოდგა და შედეგად, მატჩის მვპ-ის ტიტულიც ჩვენებურს ერგო.

ბუდუჩნოსტს 20 ტურის შემდეგ 6 მოგება და 14 წაგება აქვს და 16-გუნდიანი ლიგის 14-15 ადგილებს სწორედ გრან კანარიასთან ერთად იყოფს. ჩერნოგორიელები ევროლიგაში მომდევნო შეხვედრას მოსკოვში ცსკა-სთან ჩაატარებენ.

გოგა ბითაძეს ნამატჩევს კომენტარი სთხოვეს:

– ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო. შესანიშნავი სერია გვაქვს, რეალისა და ცედევიტას შემდეგ კიდევ ერთი დიდი გამარჯვება მოვიპოვეთ ევროლიგაში. ილუზია იქნება სიტყვების დახარჯვა იმისთვის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიურად და რამდენად დაგვეხმარება ეს გამოცდილება ადრიატიკის ლიგის მოსაგებად, რომელიც ჩვენი მთავარი მიზანია. პირველ ტაიმში სათანადო დონეზე ვერ ვითამაშეთ, მაგრამ შემდეგ ენერგიულად ვმოქმედებდით დაცვაშიც და შეტევაშიც, ყველამ ერთიანი სულისკვეთებით ვითამაშეთ და გამარჯვება დავიმსახურეთ.

საქართველოს თასი სენსაციების გარეშე დაიწყო

სტარტი აიღო საქართველოს თასის გათამაშებამ, რომელშიც 16 გუნდი მონაწილეობს. პირველად ისტორიაში თასის გათამაშებაში სუპერლიგისა და ა ლიგის ყველა წარმომადგენელი ასპარეზობს, რაც ამ ტურნირს უფრო მასშტაბურსა და საინტერესოს ხდის.

გათამაშების ფორმატის თანახმად, 16 გუნდი კლასიფიკაციის შედეგად 2 კალათაში განითესა და მერვედფინალში დაწყვილდა. პლეიოფში ყველა სტადიაზე სერია 2 მოგებამდე გაგრძელდება, ხოლო ფინალში გასული გუნდები თასის მფლობელს ერთი მატჩით გამოავლენენ.

პირველად პარკეტზე დელტა და რუსთავი გავიდნენ. მატჩი საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოდგა, რომლის ბედიც ძირითადმა დრომ ვერ გაარკვია. შეხვედრის 40 წუთის ბოლოს თანაბარი ანგარიში – 65:65 დაფიქსირდა, დამატებით 5-წუთეულში კი დელტამ 73:69 იმარჯვა და სერიაში 1:0 დაწინაურდა.

გამარჯვებულთაგან 15 ქულით გამოირჩა მალკოლმ დრამრაითი. 14-14 ქულა საბა ლობჟანიძემ და ბექა ბექაურმა დააგროვეს. ბექაურის ანგარიშზე 13 მოხსნაც იყო. რუსთავში ორმაგი დუბლით (15 ქულა, 19 მოხსნა) გამოირჩა აჰმედ მოავადი. 19 ქულა და 11 მოხსნა ჰქონდა ისააკ ბენქსს.

ამ გუნდებს შორის მერვედფინალური სერიის მეორე მატჩი რუსთავში გაიმართება. თუკი რუსთაველები იმარჯვებენ, დაინიშნება მე-3, გადამწყვეტი შეხვედრა, რომელსაც დელტა უმასპინძლებს.

საკმაოდ საინტერესო ბრძოლა შედგა კაკტუსი-დინამოს დაპირისპირებაში. პირველი ნახევრის შემდეგ კაკტუსელები 16 ქულით ამარცხებდნენ დინამოს, თუმცა მესამე პერიოდი 21:29 დათმო, ხოლო ბოლო პერიოდში ლიდერობიდან არაფერი შერჩა. მატჩის ბოლოსწინა წუთზე კაკტუსელები 3 ქულით იგებდნენ, როცა 17 წლის ვლადიმერ თავაქარაშვილმა მიჯრით 2 სამქულიანი ჩააგდო და შეხვედრის დასრულებამდე 40 წამით ადრე დინამო 76:73 დააწინაურა. მომდევნო შეტევა დინამოელებმა მოიგერიეს და მატჩის ბედიც მათ სასარგებლოდ გადაწყდა.

გამარჯვებულებს 21 ქულით დემაგოი ბუბალომ ულიდერა. 16 ქულა მიითვალა რეჯერ დოუელმა, მიხელ ჭოჭუას ანგარიშზე კი 11 ქულა დაგროვდა. კაკტუსში 21-21 ქულით დელანო სპენსერი და დომინიკ ელიოტი გამოირჩნენ.

საპასუხო შეხვედრა კვლავ ოლიმპიურ სასახლეში გაიმართება.

პირველი დღის ბოლო მატჩში ერთმანეთს ოლიმპი და პირველლიგელი თბილისი დაუპირისპირდნენ. თბილისელებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს სუპერლიგის ერთ-ერთ სოლიდურ გუნდს. მატჩის დასრულებამდე 3 წუთზე ოდნავ მეტი რჩებოდა, ოლიმპი რომ 3 ქულით ჩამორჩებოდა, თუმცა გადამწყვეტ მომენტში ყველაფერი ლოგიკას დაემორჩილა. 4 ლეგიონერით გაძლიერებულმა ოლიმპმა მთლიანად ქართველებით დაკომპლექტებულ თბილისს 95:82 მოუგო და სერიაში 1:0 დაწინაურდა.

მერვედფინალური სერიის მეორე მატჩი ოლიმპიურ სასახლეში გაიმართება.

კიდევ 4 წყვილში ერთმანეთს სუპერლიგისა და ა ლიგის გუნდები შეხვდნენ და ყველა მატჩში ფავორიტად მიჩნეულმა სუპერლიგის გუნდებმა იმარჯვეს.

შსს აკადემია-ტიტებისა და არენა-ორბის დაპირისპირება სუპერლიგის წარმომადგენლის უპირატესობით დაიწყო და ისე დამთავრდა, ტიტების ლიდერობას საფრთხე არ დამუქრებია. დავით უსტიაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა საბოლოოდ 89:63 იმარჯვა და სერიაში 1:0 დაწინაურდა.

გამარჯვებულებს 22 ქულით კაშიმ რენსომმა ულიდერა. 20 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა ჟოელ ალმეიდამ, ხოლო ილია ლონდარიძის ანგარიშზე 11 ქულა და 7 მოხსნა დაგროვდა. არენა-ორბში 17 ქულა-10 მოხსნით საუკეთესო იყო გლენ ბარნსი.

თსუ-ჰიუნდაისა და კავკასიის უნივერსიტეტის ჯახი გახლდათ დღევანდელი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მატჩი. პირველი ნახევრის შემდეგ კავკასიელები იგებდნენ (39:36), თუმცა მე-3 პერიოდში თსუ-ჰიუნდაელებმა ჯეიმს მილიკენისა და ახალწვეული ვიკტორ ნიკერსონის მექულეობით 25:9 იმარჯვეს და 13 ქულით დაწინაურდნენ.

ბოლო პერიოდში კავკასიელებმა ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ გამარჯვებამდე მისვლა ვერ მოახერხეს და მატჩიც თსუ-ჰიუნდაელთა გამარჯვებით – 83:73 დასრულდა. 21 ქულით ჯეიმს მილიკენი გამოირჩა. 19 ქულა ნიკერსონის ანგარიშზე დაგროვდა, ხოლო გიორგი კორსანტია გამარჯვებულებს 11 ქულითა და 8 მოხსნით შეეწია.

ახალჩამოყალიბებულმა ვერამ სუპერლიგაში გამოცდილ მგზავრებს წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა პირველი პერიოდი 28:20 მოიგო, მეორე – 27:15, ხოლო მესამეში 27:24 იძალა. ბოლო ათწუთეულს აზრი დაეკარგა, რადგან მგზავრები 23 ქულას იგებდნენ და გამარჯვებამდეც დამშვიდებით მივიდნენ.

ბერიშვილის გუნდმა საბოლოოდ 93:80 იმარჯვა და ამაში სოლიდური წვლილი ჯეიკობ არმსტრონგს მიუძღვის, რომელმაც 31 ქულა მოაგროვა. 16 ქულით გამოირჩა რევაზ ჩაჩანიძე, ხოლო კახა ჯინჭარაძემ შეხვედრა 7 ქულითა და 10 მოხსნით დაასრულა. ვერაში 19 ქულით საუკეთესო იყო ბრაისონ სკოტი, 17 ქულა გივი ბაქრაძის ანგარიშზეა.

გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა ბათუმმა ა ლიგის წარმომადგენელ მეგა ბასკეტს უმასპინძლა. თასის მერვედფინალურ მატჩებში პირველ გამარჯვებასთან იყო ა ლიგის გუნდი. წლეულს შექმნილმა მეგა ბასკეტმა სუპერლიგელ გუნდს დიდი წინააღმდეგობა გაუწია და გამარჯვებამდე მცირედი დააკლდა.

მატჩის ბოლო წუთზე ანგარიში თანაბარი იყო – 77:77. დასკვნით წამებზე მასპინძლებმა მეტი სიზუსტე გამოავლინეს და 81:77 იმარჯვეს.

ზღვისპირელთაგან 28 ქულით საუკეთესო იყო ახალწვეული კეისი შეპარდი. 20 ქულა მოაგროვა მეორე ახალბედა დეიან იეფტიჩმა. 19 ქულა და 8 მოხსნა სერბი სტეფან ანდრეევიჩის ანგარიშზე დაგროვდა. მეგა ბასკეტში 31 ქულით საუკეთესო იყო კორი სანდერსი. 23 ქულა დეონტა ნორტმა მოაგროვა.

სერიას ბათუმი იგებს და მეორე მატჩი თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გაიმართება.

შედეგები

26 იანვარი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიგა

ასტონ ვილა-იფსვიჩი 2:1
ბლექბერნი-ჰალი 3:0
ნორვიჩი-შეფილდი 2:2
ნოტინგემი-უიგანი 3:1
როტერჰემი-ლიდსი 1:2
სტოკი-პრესტონი 0:2

ესპანეთი. ჰიმეჰა დივიზიონი

სევილია-ლევანტე 5:0
ატლეტიკო-ხეტაფე 2:0
ლეგანესი-ეიბარი 2:2
ვალენსია-ვილიარეალი 3:0

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	20	14	4	2	56-21	46
2.ატლეტიკო	21	12	8	1	32-13	44
3.სევილია	21	10	6	5	36-22	36
4.რეალი	20	11	3	6	30-24	36
5.ალავესი	20	9	5	6	22-23	32
6.ხეტაფე	21	8	7	6	25-18	31
7.ვალენსია	21	6	11	4	22-18	29
8.ბეტისი	20	8	5	7	25-25	29
9.სოსიედადი	20	7	5	8	25-24	26
10.ეიბარი	21	6	8	7	26-30	26
11.ლევანტე	21	7	5	9	32-40	26
12.ხირონა	20	5	9	6	23-26	24
13.ესპანიოლი	20	7	3	10	21-30	24
14.ბილბაო	20	4	11	5	21-26	23
15.ლეგანესი	21	5	8	8	20-26	23
16.ვალიადოლიდი	20	5	7	8	17-23	22
17.სელტა	20	5	6	9	32-34	21
18.რაიო	20	5	5	10	24-36	20
19.ვილიარეალი	21	3	9	9	21-29	18
20.უესკა	20	2	5	13	17-39	11

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალმერია-ოსასუნა 0:1
ლუგო-მაჰადაონდა 3:2
ელჩე-ნუმანსია 1:1
კადისი-მალიორკა 1:1
ტენერიფე-მალაგა 0:0

გერმანია. ბუნდესლიგა

დორტმუნდი-ჰანოვერი 5:1
გლადბახი-აუგსბურგი 2:0
ვოლფსბურგი-ლევერკუზენი 0:3
მაინცი-ნიურნბერგი 2:1
ფრაიბურგი-ჰოფენჰაიმი 2:4
ვერდერი-აინტრახტი 2:2

სატურნირო ცხრილი:

1.დორტმუნდი	19	15	3	1	50-19	48
2.გლადბახი	19	12	3	4	39-18	39
3.ბაიერნი	18	12	3	3	39-19	39
4.აინტრახტი	19	9	4	6	39-26	31
5.ლაიფციგი	18	9	4	5	31-18	31
6.ჰოფენჰაიმი	19	7	7	5	37-28	28
7.ჰერტა	19	7	7	5	31-30	28
8.ვოლფსბურგი	19	8	4	7	28-27	28
9.ლევერკუზენი	19	8	3	8	29-30	27
10.მაინცი	19	7	6	6	22-25	27
11.ვერდერი	19	7	5	7	31-31	26
12.შალკე	19	6	4	9	24-27	22
13.ფრაიბურგი	19	5	6	8	24-32	21
14.ფორტუნა	18	6	3	9	21-34	21
15.აუგსბურგი	19	3	6	10	26-33	15
16.შტუტგარტი	18	4	2	12	14-38	14
17.ჰანოვერი	19	2	5	12	18-41	11
18.ნიურნბერგი	19	2	5	12	16-43	11

იტალია. სერია ა

სასუოლო-კალიარი 3:0
სამდორია-უდინეზე 4:0
მილანი-ნაპოლი 0:0

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	20	18	2	0	41-11	56
2.ნაპოლი	21	15	3	3	39-18	48
3.ინტერი	20	12	4	4	31-14	40
4.მილანი	21	9	8	4	28-20	35
5.სამპდორია	21	9	6	6	39-26	33
6.რომა	20	9	6	5	37-26	33
7.ლაციო	20	9	5	6	29-23	32
8.ატალანტა	20	9	4	7	44-27	31
9.სასუოლო	21	7	8	6	33-32	29
10.პარმა	20	8	4	8	19-24	28
11.ფიორენტინა	20	6	9	5	28-21	27
12.ტორინო	20	6	9	5	26-22	27
13.კალიარი	21	4	9	8	19-30	21
14.ჯენოა	20	5	5	10	25-37	20
15.უდინეზე	21	4	6	11	17-29	18
16.სპალი	20	4	6	10	16-28	18
17.ემპოლი	20	4	5	11	24-39	17
18.ბოლონია	20	2	8	10	16-30	14
19.ფროზინონე	20	1	7	12	12-42	10
20.კიევო	20	1	8	11	14-38	8

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

იტალია. სერია ბ

ასკოლი-პერუჯა 0:3
კრემონეზე-პალერმო 2:0
ჩიტადელა-კარპი 3:1
სალერნიტანა-ლეჩე 1:2

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

ერაკლესი-ზვოლე 0:2
პსვ-გრონინგენი ..... 2:1(2:1)
ექსელსიორი-გრაააფსხაპი 2:0
ვენლო-ემენი 2:3

საფრანგეთი. 1 ლიგა

გენგამი-რეიმსი 0:1
დიჟონი-მონაკო 2:0
ნიცა-ნიმი 2:0
სტრასბური-ბორდო 1:0

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	19	17	2	0	62-10	53
2.ლილი	22	13	4	5	36-22	43
3.ლიონი	21	10	7	4	35-25	37
4.სტ.ეტიენი	21	10	6	5	32-25	36
5.სტრასბური	22	9	8	5	38-25	35
6.ნიცა	22	9	7	6	18-19	34
7.მონპელიე	20	8	8	4	26-16	32
8.მარსელი	21	9	4	8	34-31	31
9.რეიმსი	22	7	10	5	18-20	31
10.რენი	21	8	6	7	29-27	30
11.ნიმი	22	8	5	9	30-32	29
12.ბორდო	21	7	7	7	23-23	28
13.ტულუზა	21	6	7	8	21-31	25
14.ნანტი	21	6	5	10	26-28	23
15.ანჟე	21	5	8	8	23-27	23
16.დიჟონი	21	5	5	11	19-33	20
17.კაენი	21	3	9	9	20-29	18
18.ამიენი	21	5	3	13	18-36	18
19.მონაკო	22	3	6	13	19-38	15
20.გენგამი	22	3	5	14	16-46	14

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ბრესტი-სოშო 1:0
ორლეანი-ნიორი 1:0

პორტუგალია. თასი

ფინალი

პორტუ-სპორტინგი ..... 1:1(1:3პ)

შოტლანდია. ჰემიერიგა

აბერდინი-კილმარნოკი 0:0
სელტიკი-ჰამილტონი 3:0
დანდი-მოზერველი 0:1
ჰარტსი-სტ.ჯონსონი 2:0

ბელგია. ა დივიზიონი

შარლერუა-ბევერენი 2:2
ლოკერენი-ვარეგემი 0:3
სერკლი-სტ.ტრუიდენი 1:2
გენკი-მუსკრონი 1:2

საბერძნეთი. სუპერიგა

იანინა-პოლონი 1:0
პანეთოლიკოსი-ქანანი 0:0
პანიონიოსი-აეკი 0:2

თურქეთი. სუპერიგა

ქაისერი-ბურსა 1:1
გიოზთეფე-გალათასარაი 0:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

ბრიტანელმა, რათა თოჯინას დამსგავსებოდა, ათას საათზე მეტი დახარჯა

ბრიტანელი მოზარდი გოგონა დღეში ორ საათს ახარჯებს მაკიაჟის გაკეთებასა და შესაბამისი სამოსის შერჩევას, რათა შემდეგ თოჯინასავით გამოიყურებოდეს. ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემის ინფორმაციით, გოგონას, საერთო ჯამში, 1,5 ათასი საათი აქვს დახარჯული თოჯინის სახის შესაქმნელად.

ინგლისის კენტის საგრაფოს მკვიდრი 19 წლის კრისტა მაგიკა ყოველთვის იაპონური მოდითა და ანიმაციური გმირებით იყო დაინტერესებული. 17 წლის ასაკში გოგონამ პირველად შეიღება თმა ვარდისფრად და შედეგით კმაყოფილი დარჩა. ამის შემდეგ მან „თოჯინების“ ვიქტორიანული სტილის პასტელური ფერების ტანსაცმლის შეძენა დაიწყო, იკეთებდა „თოჯინის“ მაკიაჟს, გარეგნობას აქსესუარებით ავსებდა.

– თოჯინური მაკიაჟის გაკეთება ჩემთვის მნიშვნელოვანი გამოცდა გამოდგა, თუმცა წლების განმავლობაში ისეთი თვალების ილუზიის შექმნა ვისწავლე, როგორიც ჩვეულებრივ თოჯინებს აქვთ. ამისთვის ლინზებსა და ხელოვნურ წამწამებს ვიყენებდი, – ამბობს მაგიკა. მან ასევე აღიარა, რომ ცუდი განწყობისა და დეპრესიის დროს დამშვიდებაში მაკიაჟის გაკეთება ეხმარება.

სინგაპურში მამაკაცი ტელეფონით ქალებს კაბის ქვეშ უძვრებოდა

სინგაპურში მამაკაცი მობილური ტელეფონის დახმარებით ქალებს კაბის ქვეშ უყურებდა, რა დროსაც ის ვიდეორეგისტრატორმა დააფიქსირა.

ინციდენტს, რომელიც ავტოსადგომზე მოხდა, საინფორმაციო პორტალის თანამშრომელმა კენეტ ტანმა მიაქცია ყურადღება. ის საკუთარ მანქანაში ტელეფონზე საუბრობდა, როდესაც წინ სამმა ადამიანმა ჩაუარა. შემდეგ ტანმა შენიშნა, რომ ერთი შეეცადა, მოკლეკაბიანისთვის ტელეფონის დახმარებით ქვევიდან შეეხედა.

ვიდეორგოლში ჩანს, თუ როგორ იხრება ოდნავ მუხლებში მამაკაცი, რათა ტელეფონი შეუმჩნევლად ქალის კაბის ქვეშ მოათავსოს. შემდგომ კადრებში ჩანს, რომ გარყვნილი მამაკაცი ქალის დევნასა და მისი ფეხების კამერით განათებას აგრძელებს.

თვითმხილველის თქმით, ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა, ამიტომ ის არ იყო დარწმუნებული, თუ რამდენად სწორად აფასებდა ნანახს.

– ჩემი ეჭვები დადასტურდა, როდესაც ვიდეორეგისტრატორის მიერ გადაღებული ვიდეო ვნახე, – განმარტა მან.

იმავე დღეს ტანმა პოლიციას მიმართა და სთხოვა, ვიდეოზე გადაღებულ ქალს დაჰკავშირებოდნენ და მომხდარის შესახებ ეცნობებინათ.

ძაღლმა ექიმები გონებადაკარგულ პატრონთან მიიყვანა

ოქროსფერი რეტრივერი, რომლის პატრონმა გონება დაკარგა, სასწრაფო დახმარების მანქანას დაელოდა და ექიმები საჭირო ადგილას მიიყვანა. ამის ამსახველი ვიდეოს გამოქვეყნების შემდეგ ძაღლი სოციალური ქსელების გმირად იქცა.

ინციდენტი ჩინეთის შანსის პროვინციის იუნჩენის ოლქში მოხდა. ძაღლის პატრონმა ერთ-ერთ პატარა ქუჩაზე გონება დაკარგა და მიწაზე დაეცა. ამის შესახებ ადგილობრივებმა ექსტრემალურ სამსახურს აცნობეს.

ამ დროს ძაღლი დიდ გზაზე გავიდა, სასწრაფო დახმარების მანქანას დაელოდა, შემდეგ კი მძღოლს ანიშნებდა, რომ მას უკან გაჰყოლოდა. საბოლოოდ მან მაშველები თავის პატრონთან მიიყვანა. მათ მამაკაცი მანქანაში მოათავსეს.

ერთ-ერთი ექიმის თქმით, მამაკაცმა გონება ალკოჰოლის გადამეტებული დოზის გამო დაკარგა. ძაღლის მოქმედება კი მედიკოსებმა ვიდეორეგისტრატორზე გადაიღეს და შემდეგ სოციალურ ქსელებში განათავსეს. ინტერნეტმომხმარებლებმა ძაღლს „მფარველი ანგელოზი“ შეარქვეს.

გოგონამ საფენების გამო მესამე ხარისხის დამწვრობა მიიღო

სამი წლის ბრიტანელმა გოგონამ, სოფიმ, საფენების გამო მესამე ხარისხის დამწვრობა მიიღო და საავადმყოფოში აღმოჩნდა.

ინგლისის ქალაქ ბარნსლის მკვიდრმა 32 წლის ჯემა ფრიმ 2018 წლის იანვრის ერთ ღამეს თავის გოგონას საფენები გაუკეთა და დასაძინებლად დააწვინა. რვა საათის შემდეგ მან ბავშვი საბავშვო ბაღში წასაყვანად გააღვიძა და აღმოაჩინა, რომ საფენის ქვეშ სოფის კანი დაწითლებული ჰქონდა. კანის მდგომარეობა ყოველ წუთს უარესდებოდა.

დედამ ბავშვი საავადმყოფოში მიიყვანა. მისი თქმით, გოგონა იძულებული იყო, პალატაში ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ ოთხი დღე აბსოლუტურად შიშველს გაეტარებინა, ვინაიდან კანზე ნებისმიერი შეხება მასში საშინელ ტკივილს იწვევდა. შედეგად სოფის კანზე ნაკლებად შესამჩნევი დამწვრობების კვალი დარჩა.

ამ ინციდენტის შემდეგ გოგონას დედა კომპანია ჰაგის დაუკავშირდა და საფენების მავნებლობის თაობაზე განუცხადა. ბრენდის წარმომადგენლებმა უარი თქვეს მომხდარის გამო საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებაზე და განაცხადეს, რომ მათი პროდუქცია ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზიანის მომტანი არ არის.

გოგონა გამტაცებლისგან გაქცევისთვის ჯილდოს მიიღებს

შვილობილი კომპანია Hormel foods Jennie-O Turkey Store დაპირებული ჯილდოს სახით 25 ათას დოლარს გადაუხდის გატაცებულ გოგონა ჯეიმი კლოსს, რომელმაც გამტაცებლისგან თავის დაღწევა დამოუკიდებლად მოახერხა.

დაკარგული გოგონა ამერიკის ვისკონსინის შტატის ქალაქ გორდონში აღმოაჩინეს, იმ სახლიდან დაახლოებით 112 კილომეტრის დაშორებით, სადაც ის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. კლოსმა 21 წლის დამნაშავე ჯეიკ პატერსონისგან გაქცევა მას შემდეგ მოახერხა, რაც მამაკაცმა მას უბრძანა, რომ მის დაბრუნებამდე საწოლის ქვეშ წოლილიყო, თავად კი წავიდა.

სამართალდამცავების თქმით, 13 წლის გოგონამ სამი თვე გაატარა დამნაშავის ტყვეობაში, რომელმაც მისი გატაცების დროს მისი მშობლები დენის და ჯეიმს კლოსები დახოცა.

დაღუპულები დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდნენ კომპანია Jennie-O Turkey Store-ში, რომელმაც ჯილდოს გაცემის სურვილი გამოთქვა.

– მთელი ჩვენი კომპანია მწუხარებას გამოთქვამს მომხდარის გამო. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოვსულვართ გონს ჩვენი ოჯახის წევრების ჯეიმისა და დენის დაკარგვის გამო, – განაცხადა კომპანიის პრეზიდენტმა სტივ ლიკენმა და იქვე დაამატა, რომ გოგონას სიმამაცით აღფრთოვანებულია.

თავდაპირველად კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ფულს გადაიხდიდნენ ნებისმიერ ინფორმაციაში, რომელიც გოგონას პოვნაში დაეხმარებოდა მათ, თუმცა მომხდარის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ მთელი თანხა თავად გოგონას გადასცენ.

პატერსონის საქმის სასამართლო განხილვა 2019 წლის 6 თებერვლისთვის არის დანიშნული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ᲯᲯᲐᲜᲕᲝᲰᲔᲚᲘ



1. ფინიკიელთა მთავარი ქალღმერთი; 2. ... ტერნერი; 3. 10. ხარისხად 78 (ინგლისში, გერმანიაში....); 4. მუხლმოდრეკა და წელში მოხრა ლოცვის დროს; 5. მამალი ირემი, შველი, ჯიხვი და მისთ.; 6. მილიონჯერ მეტის აღმნიშვნელი წინსართი; 7. სწრაფად გათამაშებული ჭადრაკის პარტია; 8. ძველებური თოფი; 9. რომის პაპის მმართველობის პერიოდი; 10. მდინარე აფხაზეთში; 11. მდინარის მტაცებელი თევზი; 12. ძალიან იშვიათი ნივთი; 13. ცეცხლის ანადენი; 14. მანქანების მემონტაჟე; 15. ინტუიცია; 16. ... გრუზინსკაია (დასახლება); 17. ნათესების მავნებელი მწერი; 18. უხამსი, უწმაწური; 19. იაპონური თეატრის სახეობა; 20. ინდოეთის ფულის ერთეული; 21. სამკურნალო მცენარე; 22. ხურდა ფული ნორვეგიაში; 23. ჩინეთის დედაქალაქი; 24. პატარა ტანის ცხენის ჯიში; 25. „... იზმაილოვა“ (დ.შოსტაკოვიჩის ოპერა); 26. ატლანტის ოკეანეში ჩაძირული ისტორიული გემი; 27. სოფიკო ჭიაურელის სცენური სახე; 28. „... ერგასის დღე“; 29. მთის წაწვეტებული მწვერვალი.

ნინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. დოჟი; 2. შაშხი; 3. არიეტა; 5. ხუნდი; 6. ლანჩხუთი; 8. კომპრომისი; 10. ვივიენი; 12. ცენზორი; 14. ორტეგა; 15. სოფიტი; 16. ლვოვი.

თარაზულად: 1. დეპეშა; 4. თხუნელა; 7. ბუშელი; 9. ტოშიბა; 11. ამფიბია; 12. ცუცხვათი; 13. მიმინო; 17. ბაროკო; 18. კიჩო; 19. ორნამენტი; 20. ტიტიკაკა.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. ყაზბეგი; 2. ქიზიყი; 3. პროქტიტი; 4. რადიკალი; 7. ქამელეონი; 8. პლესეცკი; 12. ქარაშოტი; 14. ვოლფრამი; 16. ბეითალი; 17. ჟენშენი; 19. აზია; 20. ვაჩა.

თარაზულად: 5. კარაკასი; 6. ჯვრისწერა; 9. მელასა; 10. ყლორტი; 11. ცეკვა; 13. ჩაქვი; 15. დომინო; 18. ჰეიგი; 21. ფანატიზმი; 22. ანდანტე; 23. კახიანი.

სახალხო მკურნალი ᲚᲐᲛᲐᲠᲐ ᲗᲝᲓᲣᲐ. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ Ქ. №166. ᲛᲔ-10 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ.
ᲢᲔᲚ.: 230 62 52; 599 16 10 82

ᲐᲡᲢᲠᲝᲰᲠᲝᲛᲒᲜᲝᲖᲘ

28 იანვრისათვის

ᲕᲔᲠᲫᲘ – თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი საგრძნობლად იზრდება. ასევე ძლიერდება სექსუალურობა და წინასწარმეტყველების უნარი. ნებისმიერი რთული სიტუაციიდან გამოსავალს იოლად იპოვით. **ᲙᲣᲠᲝ** – დღეს, შესაძლოა, ძველი კონტაქტები აღადგინოთ. პრობლემების მოგვარებაში ახალი ნაცნობები დაგეხმარებიან. ემოციების გამოვლენისგან თავი შეიკავეთ. **ᲒᲔᲣᲠᲔᲑᲘ** – ეს დღე ნეგატიური ტენდენციებით ხასიათდება. ნებისმიერი კომერციული აქტივობა ფინანსური კრახით დამთავრდება. მიზნის მიღწევაში თავქარიანობა და საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულება შეგიშლით ხელს. **ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲑᲘ** – დღეს ნურაფერს დაგეგმავთ. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. დაკმაყოფილდით იმით, რასაც ცხოვრება შემოგთავაზებთ. **ᲚᲝᲛᲘ** – მეგობრებთან შეხვედრა დიდ სიხარულს მოგანიჭებთ. კარგი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, ფიზიკური აქტივობისათვის. **ᲯᲐᲚᲜᲣᲚᲘ** – უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. საღამოს საკუთარ თავს პატარა დღესასწაული მოუწყვეთ. **ᲡᲐᲡᲜᲝᲠᲘ** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. რისკი გამართლებული არ არის. თავი შეიკავეთ საქმიანი შეხვედრებისაგან. **ᲦᲠᲘᲐᲜᲯᲐᲚᲘ** – ეს დღე შემოქმედებითი პოტენციალის ამაღლებით გამოირჩევა. მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენი ორგანიზატორული ნიჭი. საქმე შემოქმედებითად და, ამავე დროს, მოთმინებით აკეთეთ. **ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ, უმჯობესია, ძველი დაამთავროთ. დღეს დოკუმენტებთან ურთიერთობა სასურველი არ არის. **ᲗᲔᲗᲠᲘᲡ ᲠᲫᲐ** – მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარება თამამად დაიწყეთ, ოღონდ ყველაფერს ერთად ნუ გააკეთებთ. თქვენი შესაძლებლობები გაითვალისწინეთ და ისე იმოქმედეთ. **ᲛᲔᲠᲩᲧᲣᲚᲘ** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით, იკვებეთ სწორად. ფიზიკური დატვირთვა ძალიან წაგადგებათ. **ᲗᲔᲗᲠᲘᲗᲘ** – იოლად არავის მიენდოთ, თორემ იმედი გაგიცრუვდებათ. კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. თავი აარიდეთ შემთხვევით ნაცნობობას. დაისვენეთ მყუდრო გარემოში.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

მზია კვირიკაშვილი 70 წლის გახდებოდა

სიცილის დედოფალი მზია კვირიკაშვილი 70 წლის გახდებოდა. ნინოობის დღესასწაულზე დაბადებული პაროდისტი ყოველთვის სიცილით იხსენებდა, რომ მისი დაბადებაც კურიოზით დაიწყო, რადგან ნინოობა დღეს დაბადებულს მზია დაარქვეს.

სიცილის დედოფალი მისმა მეგობარმა, პაროდისტმა მამუკა ლომაშვილმა გაიხსენა:

– მისი დაბადებაც კურიოზით დაიწყო, ნინოობას დავიბადე და მზია დამარქვესო. ჩემი გოგოს დაბადების დღეა... მინდა მივულოცო, სადაც არის... ვიცი, რომ აუცილებლად გაიგებს.. იმასაც გაიგებს, როგორ მაკლია და მენატრება ხოლმე.. მაპატიე, მეგობარო, რომ ბევრი რამე ვერ შევძელი შენთვის, ვერ შევძელი შენი „სოლოკონცერტის“ გაკეთება, მომაკვდავს მაინც რომ გინდოდა...

ბევრჯერ დაგწყვიტეს გული, ბევრჯერ უსამართლოდ მოგექცნენ, უამრავჯერ „გამოგიყენეს“, სიკვდილის მერეც ვერ დაგაფასეთ... კიდევ უამრავი წელი გავა და მზია კვირიკაშვილისნაირი მსახიობი ესტრადას ვერ ეყოლება.. მისი ნიჭი და შესაძლებლობები დღემდე არ არის შეფასებული... ერთადერთი, რაც მიიღო, ეს ხალხის სიყვარულია, რომელსაც არანაკლებ კი არა და უფრო მეტად უყვარდა თავისი მაყურებელი და არა მარტო.. მე ბედნიერი ვარ, რომ ასეთი მეგობარი მყავდა... იმედია, საქართველოში იქნება ისეთი ხელისუფლება, რომელიც პატივს სცემს და დააფასებს მის და არა მარტო მის შემოქმედებასა და ღვაწლს.

დემნა გვასალიამ ჩვენება გეი სექს კლუბში გამართა

დიზაინერი დემნა გვასალია უცხოელ ჟურნალისტებთან საუბარში იხსენებს, რომ ჩვენება პარიზში გეი სექს კლუბში გამართა. ამის მიზეზი კი საფრანგეთის დედაქალაქში არსებული ლოკაციების სიძვირე გახდა.

ბალენსიაგას შემოქმედებითმა ხელმძღვანელმა ამ თემაზე ერთ-ერთ უცხოურ გამოცემასთან ისაუბრა.

დემნა გვასალია:

– ბიზნესი ახალი დაწყებული გვქონდა. პარიზში ლოკაციები საკმაოდ ძვირი იყო. ამ კლუბის მფლობელებს ვიცნობ, იქ მეგობრებთან ერთად რამდენიმე წვეულებაზე ვარ ნამყოფი. სივრცე დაბალ ფასად შემოგვთავაზეს. იაფი იყო და ამიტომ გავაკეთე, მაგრამ ყველამ მეამბოხეობად გაიგო. პარიზი კონსერვატიული ქალაქია.

– პარიზში ყველაზე მაგარი წვეულება შენ გქონდა.

– პარიზში კლუბური და ახალგაზრდული კულტურა არ არის ძალიან განვითარებული. დიჯეი ბერლინიდან ჩამოვიყვანე. ბერლინი ჩემი ქალაქია. იქ ბევრი მეგობარი მყავს, ხშირად ჩავდივარ. შაბათ-კვირას ისევ ჩავდივარ, რამშტაინის კონცერტია, მათ მუსიკაზე გიჟივით ცეკვა მჭირდება.

– თავს ანტიდიზაინერად თვლი? ადრე ასე იაპონელებსა და ბელგიელებს უწოდებდნენ, ახლა იმავეს შენზე ამბობენ.

– არა. იაპონელებსა და ბელგიელებს მოდის სისტემა სძულდათ. მე არ მძულს, უბრალოდ, არ ვეთანხმები.

„საქართველოს ვარსკვლავი“ ბესიკ ნემსაძემ და მარიამ კახელიშვილმა დატოვეს

მუსიკალური შოუ „საქართველოს ვარსკვლავი“ დაიწყო და მისი პირველივე საკონკურსო ტური ორმა კონკურსანტმა ბესიკ ნემსაძემ და მარიამ კახელიშვილმა დატოვეს.

პირველი საკონკურსო დღე ლეგენდარული ქვინის რეპერტუარს მიეძღვნა. ათივე კონკურსანტმა როკჯგუფის რეპერტუარიდან საუკეთესო სიმღერები შეასრულა.

მაყურებლის გადაწყვეტილებით, ყველაზე მეტი ხმა ოთო ნემსაძემ დააგროვა, ყველაზე ცოტა კი – ბესიკ ნემსაძემ.

პროექტის ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით, პირველივე საკონკურსო დღეს შოუს ორი მონაწილე გამოეთიშა.

მარიამ კახელიშვილმა შოუს დატოვების შემდეგ კომენტარი არ გააკეთა, ბესიკ ნემსაძემ კი ყველა გულშემატკივარს მადლობა გადაუხადა და მისი ძმის, ოთო ნემსაძის მხარდაჭერა სთხოვა:

– შეჯამება: ძალიან მაგარი შოუ იყო! არ ვიცი, მე ვფიქრობ, რომ მეტი ხმა უნდა მქონოდა, სამწუხაროდ, ხმები ძალიან ცოტა იყო იმასთან შედარებით, რამდენი ადამიანიც მე მგულშემატკივრობდა და დღესაც კი მიგდებენ მესენჯერში ჩემზე დამესიჯებულ სქრინებს. ერთი რამ ზუსტად ვიცი, არც ერთი თქვენი ხმა არ დაკარგულა და ჩემს გულშია! მაგ ხმებს აუცილებლად გავამართლებ! ძალიან ბევრი რამეა, რაც მინდა ვთქვა... ახლა კი ყველას გთხოვთ, დავუდგეთ ოთოს გვერდით! ევროვიზიას სჭირდება ოთო! გთხოვთ, გაერთიანდეთ ოთოსთვის და დავუჭიროთ მხარი! მესენჯერით ხმის მიცემა 12 საათში ერთხელ! ზარი ნებისმიერ დროს, რამდენიც გნებავთ! დიდი მადლობა!

მიხა ხელაშვილის „ლექსო, ამოგთქომ, ოხერო“ 100 წლისაა

25 წლის ასაკში საკუთარ დაბადების დღეზე მოკლული პოეტის მიხა ხელაშვილის ცნობილი ლექსი „ლექსო, ამოგთქომ, ოხერო“ 100 წლისაა:

„ლექსო, ამოგთქომ, ოხერო, თორო იქნება ვკვდებოდე და შენ კი ჩემად სახსოვრად სააქაოსა რჩებოდე,“

– მიხა ხელაშვილის ეს ლექსი ქართული პოეზიის საგანძურის ნამდვილი მარგალიტია.

ლელა რაზიკაშვილი:

– მას წელს 100 წელი უსრულდება!

ქართველებისთვის ის პოეზიის საგანძურის ერთ-ერთი გამორჩეული მარგალიტია, თუმცა ბევრისთვის უფრო მეტია, ვიდრე ლექსი!

მას მერე, რაც ის 1919 წელს 19 წლის მიხა ხელაშვილმა ამოიოხრა და ამოთქვა, მან, როგორც დევნილმა მეომარმა, ათწლეულების განმავლობაში იბრძოლა არა მარტო თავისი ადგილის, არამედ მისი ავტორის სახელის გადარჩენისა და გაქვეყნებისთვის, ზუსტად ისე, როგორც უანდერძეს!

ის კაწალხევის ტყეში გადამალული ტყავის ჩანთიდან მოგვიანებით, სხვა ლექსებთან ერთადაც რომ ამოეღოთ, მაშინვე გაბრწყინდებოდა, როგორც მარგალიტი, მაგრამ სულ სხვა გასავლელი გზა დაუწესა მისი შემქმნელის ხვედრმა. 1921 წლიდან ის, დევნილია ტყეში გავარდნილ ამომქმელთან ერთად! იმალება ხალხის გულებში, მეხსიერებაში, სიმღერებში. ინიღბება „ხალხურის“ ეგიდით და მხოლოდ ასე ინახება ბეჭდური სახით, ხალხური პოეზიის კრებულების ადრეულ გამოცემებში. ასე ჯიუტად მიიკვლევს გზას დევნილ ათწლეულებში და მოაქვს არა მხოლოდ პოეტური მუხტი, სილამაზე და სიბრძნე, არამედ ინფორმაცია მისი გმირი და ღალატით მოკლული ავტორის შესახებ!

25 იანვარს კიდევ ერთხელ შევიკრიბეთ 1925 წელს, 25 წლის ასაკში მოკლული სახალხო გმირისა და პოეტის მიხა ხელაშვილის დაბადებისა და მკვლელობის დღის აღსანიშნავად. ბევრი ლექსი ითქვა, ბევრი სიტყვა, ბევრი სიმღერა და სადღეგრძელო. გავიხსენეთ საბრძოლო თავგადასავლები, სხვა გმირებიც, მაგრამ ჩარგლის თოვლიან გზებზე, ყველა ჩვენგანის გონებისა და გულის მეგზური გახდა რითმებად ჩამოყრილი სევდა, რომელიც ძალიან ჰგავს 10 მცნებასავით აუცილებელი, ნაცნობი და მუდმივად ვერშესრულებული ვალდებულების სინანულსა და საყვედურს ჩვენს საკუთარ თავებთან...

სხვისი არ ვიცი, მაგრამ ეს სევდა ჩემთვის მარტო დედის კი არა, დედაქვეყნისა და თუნდაც დედამიწისა და დედასამყაროს საყვედურიცაა...

„დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვახსოვს შვილებსა,

იმითა გვტანჯავს გამჩენი, სულ მუდამ გვაცოდვილებსა...“

დინა მირცხულავა: „მე პატარა ერის შვილი ვარ, ამიტომ ვერანაირად ვერ დავშოშმინდები იმით, რომ სხვა დიდ ქვეყნებში უარესი ამბები ხდება“

მწერალი დინა მირცხულავა დარწმუნებულია, რომ მის პატარა საქართველოს შველა სჭირდება:

– მე პატარა ერის შვილი ვარ, ამიტომ ვერანაირად ვერ დავშოშმინდები იმით, რომ სხვა დიდ ქვეყნებში უარესი ამბები ხდება...

მე პატარა ერის შვილი ვარ და ჩემთვის დიდი პრობლემაა, თუნდაც ერთი ნასვამი მძღოლი საჭესთან, რომელმაც ჩემი ძმა მოკლა.

მე პატარა ერის შვილი ვარ და ჩემთვის დიდი პრობლემაა, მიწისქვეშა გადასასვლელში მჯდარი მზესუმზირის გამყიდველი მოხუცი ბებო, რომელსაც ჩემი ნაჩუქარი შავი კოფთა ზამთარ-ზაფხულ გაუხდელად აცვია.

მე პატარა ერის შვილი ვარ და ამ „სიპატარავეში“ ძალიან მებევრება თუნდაც ერთი უვიცი ექიმი, ერთი მასწავლებელი, ერთი გულგრილი თანამშრომელი, ერთი ამჩემფეხება პოლიციელი...

ყელში ამომდის ას ორმოცდაათი მუქთახორა კანონმდებელი...

ერთი პატარა სოფლის რწმუნებული და ოთხი სპეციალისტი, ერთი ქალაქის ერთი მერი მისი ათი მრჩევლით...

შეცდომით შემოგდებული პრეზიდენტი.

გამოსწორებული ნაცები.

ტაშისმკვრელი ქოცები.

ეკონომიკის მინისტრის განცდები.

გაქანებულები და დამხვდურები...

მე პატარა ერის შვილი ვარ და ჩემთვის დიდი ტრაგედიაა ჯართის შემგროვებელი ერთი ბიჭუნა, გაზით გაგუდული თუნდაც ერთი ადამიანი...

არ მაინტერესებს, დიდ ქვეყნებში რა სტატისტიკაა....

მე პატარა ერის შვილი ვარ და დიდი პრობლემაა – წარწერები – „იყიდება სახლი“, „იყიდება მიწის ნაკვეთი ხეხილით“...

მე პატარა ტერიტორიაზე დასახლებული პატარა ერის შვილი ვარ...

გიორგი კეკელიძემ გადაცემაში „ხარ თუ არა მეექვსეკლასელზე ჭკვიანი“ 3000 ლარი მოიგო

ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, მწერალმა და პოეტმა გიორგი კეკელიძემ 3000 ლარი მოიგო.

ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა მონაწილეობა მიიღო საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემაში „ხარ თუ არა მეექვსეკლასელზე ჭკვიანი“.

გიორგი კეკელიძემ ტელეშოუში სოლიდური თანხა სოფელ ჯურუყვეთელი გოდერძი მურვანიძისთვის მოიგო.

სამგლოვიარო განცხადებები

ჯემალ ქადაგიშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

დემურ სიხარულიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

მუხრან ბაგრატიონი ოჯახით მწუხარებას გამოთქვამს

დემურ სიხარულიძის

გარდაცვალების გამო და გულწრფელ სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

რევაზ ჯაფარაშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

დემურ სიხარულიძე

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

შპს „თერგი I“-ისა და შპს „თი-ელ-ჯის“ თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დემურ სიხარულიძე

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

შპს „ქალაქის გულის“ ადმინისტრაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა

დემურ სიხარულიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ხაჭაპურს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ანთიძემ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტს „ხაჭაპურის ტრადიცია საქართველოში“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

სტატუსის მინიჭების ინიციატივა შპს „გუნდას“ და კერძო პირებს ეკუთვნით. ბარათზე მუშაობის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული უშუალოდ ელემენტის მატარებლები. საქართველო პირველად იღებს მონაწილეობას საერთაშორისო კულინარიულ გამოფენაში „შირჰა 2019“, სადაც აღნიშნული ორგანიზაცია და კერძო პირები, გამოფენის ფარგლებში ქართულ ხაჭაპურს წარადგენენ.

ხაჭაპური ქართული სამზარეულოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ის ქართული კულინარიული კულტურის სავიზიტო ბარათი და კვებითი რაციონისა და ქართული რიტუალის შემადგენელია. აღნიშნული ელემენტისთვის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება მისი დაცვის მექანიზმად შეიძლება მოვიაზროთ. მნიშვნელოვანია ხაჭაპურის საქართველოს მიერ პოპულარიზაცია, რათა გაიზარდოს მისი, როგორც ქართული პროდუქტის, ცნობადობა საერთაშორისო სივრცეში.

მასტერი: „არც ერთ ქალს არ დავუწერდი ალბათ სიმღერას...“

აცხადებს რეპერი მასტერი, რომელსაც, სხვა მომღერლების მსგავსად, ბევრი სიმღერა აქვს სუსტი სქესისადმი მიძღვნილი:

– უბრალოდ, ლამაზია ქალზე და სიყვარულზე სიმღერები, თორემ არც ერთ ქალს არ დავუწერდი ალბათ სიმღერას...

რაც უფრო მეტად დაანახებ, რომ გიყვარს, მით უფრო ნაკლებად გაფასებენ!

ყველა ჩემს სიმღერას წავშლიდი სიყვარულზე...

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ტაილანდში ლუდით დატვირთული მანქანა გადაბრუნდა

ტაილანდში სატვირთო მანქანის მძღოლმა მის მართვას თავი ვერ გაართვა, რის შედეგადაც გზაზე 80 ათასი ქილა ლუდი მიმოიფანტა, რამაც ამ ალკოჰოლური სასმელის მოყვარულების ყურადღება მიიპყრო.

ავარია ქალაქ პხუკეტში მოხდა. 58 წლის სომპორნ პრიმიარუს ლუდის ყუთები საწყობში გადაჰქონდა. ამ დროს მისი მანქანა რამდენიმე ქუჩის დახლს დაეჯახა და დაანგრია, დააზიანა იქვე მდგარი რამდენიმე ავტომობილი და მაღაზიის ვიტრინა, რამაც რაიონში სრული ქაოსი გამოიწვია.

– სულ ერთ კილომეტრში ვიმყოფებოდი ლოჯისტიკური ცენტრიდან. არ ვიცი, ეს როგორ მოხდა. შესაძლოა, ხელი გზაზე ცუდმა ხედვის არემ შემიშალა, – განმარტა მანქანის მძღოლმა და იქვე დაამატა, რომ მისი ავტომობილი იმ დროს გადაბრუნდა, როდესაც მოსახვევში შედიოდა. როგორც კი მომხდარის შესახებ ხმები გავრცელდა, ასეულობით ადგილობრივი მცხოვრები გაიქცა შემთხვევის ადგილისკენ და ალკოჰოლური სასმელის შეგროვება დაიწყეს.

ადგილობრივმა პოლიციამ ოთხი პირი დააკავა. ამ მომენტისთვის ავტოავარიისა და ქურდობის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

28 იანვრისთვის

- აშშ დოლარი — 2.6573
- ევრო — 3.0123
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4744
- 100 რუსული რუბლი — 4.0221

ამინდის პროგნოზი 28 იანვრისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

29 იანვრიდან



რევაზ ინანიშვილი

რჩეული მოთხრობები

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

5 თებერვლიდან



ჰენრი რაიდერ ჰაგარდი

მონტესუმას ასული

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



31 იანვრიდან

ლაშა იმედაშვილი

სამი მკვლელობა ძველ თბილისში

პატრიარქის ზაფხული

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

კაციჭამია ლეოპარდმა ახალშობილი მოიტაცა და დაგლიჯა

ინდოეთში კაციჭამია ლეოპარდმა ოჯახიდან ოთხი თვის ბავშვი გაიტაცა და დაგლიჯა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

მოკლულ ჩვილ ბავშვს, რომელიც მოგვიანებით ამოიცნეს, როგორც კალიანი ზეტე, მახარაშტრას შტატის სოფელ იეჯონში ღია ადგილზე მწყემსების ოჯახის მახლობლად ეძინა. მტაცებელი მძინარე ბავშვს მიეპარა და გაიტაცა.

ბავშვის დაგლეჯილი სხეული მისი გატაცების ადგილიდან 1,5 კილომეტრში, ნაკადულის პირას იპოვეს. სოფლის მცხოვრებლებმა ტერიტორიის პატრულირება დაიწყეს და ხაფანგები დადგეს კაციჭამია მტაცებლის შესაპყრობად, თუმცა ჯერ-ჯერობით – უშედეგოდ.

აღსანიშნავია, რომ ეს ინციდენტი დასავლეთ ბენგალიის შტატში მომხდარი ანალოგიური შემთხვევიდან რამდენიმე დღის შემდეგ მოხდა. იქ კაციჭამია ლეოპარდმა სამი წლის გოგონა პრანიტუ ორაონი დედის თვალწინ გაიტაცა და შემდეგ დაგლიჯა.

ალიგატორები ყინულს მიეყინნენ

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატში, მდინარე შალოტის მიდამოებში მდებარე ჭაობის პარკში ალიგატორები ყინულს მიეყინნენ.

რამდენიმე დღის წინ ძლიერი ყინვების შედეგად მდინარე გაიყინა. მალე კი პარკის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს, რომ წყალს რეპტილიები მიეყინნენ.

– აქ წყალში ყველა ჩვენი ალიგატორია თავმოყრილი. მისისიპის თვრამეტი ალიგატორი მომავალზე ფიქრობდა, რადგან ცხვირები წყლიდან ამოყვეს, – ამბობს პარკის მენეჯერი ჯორჯ ჰოვარდი.

ის მიიჩნევს, რომ რეპტილიები ასეთი სახით იმ მდგომარეობაში იმყოფებიან, როდესაც მათი სხეულის ტემპერატურა – დაწეული, ხოლო ნივთიერებათა ცვლა შენელებულია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

...

ექიმი ქალს ეკითხება:

– როგორ აღმოჩნდით ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში?

– ვიფიქრე, რომ უკონტაქტო სექსი ყველაზე უსაფრთხო იქნებოდა და, ხომ ხედავთ, რაც დამემართა...

– და ეგ რა არის, უკონტაქტო სექსი?

– ორი დღე ქმარს ტვინს ვ...დი...

...

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენი აზრით, როდესაც ქალი და მამაკაცი სექსით არიან დაკავებული, რომელს უფრო სიამოვნებს?

– რა თქმა უნდა, ქალს.

– რატომ?

– როდესაც თითის წვერით ყურს იფხან, რომელს უფრო სიამოვნებს, თითს თუ ყურს?

●●●

გვიან ღამით სახლში დაბრუნებული ნასვამი ქმარი სიბნელეში ხელის ცეცებით შუქის ჩამრთველს ეძებს. ლოგინში მწოლიარე ცოლი ცდილობს, მის მოძრაობას სწორი მიმართულება მისცეს:

– მარჯვნივ... ზევით... ცოტა დაბლა... არა, უფრო მარცხნივ, მიდი, მიდი, კიდევ ცოტა მარჯვნივ...

ამ დროს კედლის მეორე მხრიდან სიდედრის ხმა ისმის:

– შვილო, ნუ აწვალებ კაცს, ხელი მიაშველე, ხელი...

●●●

ცოლი ქმარს საყვედურობს:

– ისევ დივანზე წევხარ!...

– სამაგიეროდ, იცი, თუ სად შეიძლება ყოველთვის ჩემი ნახვა და ძებნა აღარ გიწევს.

●●●

ცოლი მივლინებაში მყოფ ქმარს ურეკავს:

– ბიჭო, გურამ, ვირუსი შემეყარა, ვირუსი...

– აცალე, ქალო, ორი დღე, ნახავს, ვინც ხარ და თავისით გაგეყრება...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ყველაზე ლამაზი გერმანელი პოლიციელი ქალი შეყვარებულმა მიატოვა

გერმანელმა პოლიციელმა გოგონამ ადრიანა კოლესნიჩარმა განაცხადა, რომ მისმა შეყვარებულმა მასთან ურთიერთობა შეწყვიტა, რისი მიზეზიც მის მიერ ინტერნეტში მოპოვებული პოპულარობა გახდა.

გოგონამ, რომელმაც სახელი გაითქვა, როგორც „ყველაზე ლამაზმა პოლიციელმა ქალმა“, აღიარა, რომ ათწლიანი ურთიერთობა მათი დაშორებით დასრულდა, ვინაიდან მისი მეგობარი მამაკაცი აღმოჩნდა იმ სამყაროში, რომელში ყოფნასაც ის არასოდეს ისურვებდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გოგონა ნახევარი წლის განმავლობაში ცდილობდა, არჩევანი პოლიციის განყოფილებაში მუშაობასა და მოდელის კარიერას შორის გაეკეთებინა. 2019 წლის დასაწყისში მან პოლიციაში დაბრუნება გადაწყვიტა, მოფიქრებისთვის გამოყოფილი დრო მსოფლიოში სამოგზაუროდ გამოიყენა, პარალელურად კი ინსტაგრამში საცურაო კოსტიუმში გადაღებულ საკუთარ სურათებს აქვეყნებდა. კოლესნიჩარის თქმით, ხელმძღვანელობა მის სამსახურში დასაბრუნებლად მზად არის, მაგრამ გოგონას ინსტაგრამში სურათების გამოქვეყნების მნიშვნელოვნად შემცირება მოუწევს.

– საკუთარი მოვალეობების შესრულების დაბრუნება, პატრულირება და ცვლებად მუშაობა არ მაშინებს, – აღნიშნა გოგონამ.

ათი წლის წინ დაკარგული კატა მეზობელ სახლში იპოვეს

კატა, სახელად ლილი, რომელიც ათი წლის წინ დაიკარგა, მეზობელ სახლში იპოვეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ინგლისის ქალაქ დრიფილდის მცხოვრებ 39 წლის ალექს ელიოტს ლილი 2009 წელს დაეკარგა, როდესაც ის ცხრა წლის იყო. ქალს მთელი ოჯახი ეხმარებოდა საყვარელი ცხოველის მოძებნაში, მაგრამ მათ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. ელიოტმა ჩათვალა, რომ ლილის მანქანა დაეჯახა და მის დაკარგვას შეეგუა.

ლილის გაუჩინარებიდან ათი წლის შემდეგ, ორი კვირის წინ, ქალს ვეტერინარული საავადმყოფოდან დაურეკეს და აცნობეს, რომ ის ცოცხალი იყო. როგორც გაირკვა, მამაკაცმა, რომელიც ელიოტის სახლიდან სულ რაღაც 400 მეტრის დაშორებით ცხოვრობდა, ცხოველი ქუჩიდან აიყვანა, გადაწყვიტა, რომ ის უპატრონო იყო და სახლში წაიყვანა.

– მამაკაცმა, რომელთანაც ლილი ცხოვრობდა, განაცხადა, რომ კატასთან ერთად ცხოვრება აღარ სურდა. ცხოველთა დაცვის საზოგადოებამ კატა წამოიყვანა და ვეტერინარულ საავადმყოფოში შესამოწმებლად მიიყვანა, – განაცხადა ქალმა. იქ აღმოჩნდა, რომ ცხოველს ჩიპი ჰქონდა ჩადგმული, რამაც ორგანიზაციის თანამშრომლებს მისი ძველი პატრონის მისამართის გაგება და მასთან დაკავშირება შეაძლებინა.

უნიტაზზე დამჯდარ ქალს პითონმა უკბინა

ავსტრალიელი ჰელენ რიჩარდსი პითონის თავდასხმის შედეგად იმ დროს დაშავდა, როდესაც უნიტაზით სარგებლობას აპირებდა.

ინციდენტი კვინსლენდის შტატის ქალაქ ბრისბენში ქალის დის სახლში მოხდა. რიჩარდსის თქმით, მან კანში კბილების ჩასობა იგრძნო და გადაწყვიტა, რომ მწვანე ბაყაყმა უკბინა, თუმცა მაშინვე გაახსენდა, რომ ამ ამფიბია ცხოველს კბილები არ აქვს.

– შარვალჩახდილი წამოვხტი, რათა მომხდარში დამნაშავე მენახა, – განმარტა ქალმა. ის კი მეტრნახევრიანი პითონი აღმოჩნდა, რომლის ნაკბენიდანაც ქალს სისხლდენა დაეწყო. გველისგან თავის დასაცავად ქალმა უნიტაზის თავსახური დახურა და ზევიდან სიმძიმისთვის მცენარეებიანი ორი ქოთანი დაადო. შემდეგ რიჩარდსმა გველებზე ადგილობრივ მონადირე ჟასმინ ზელენის დაურეკა. ადგილზე მისულმა ქალმა გველი ამოიყვანა და უახლოეს მდინარეში გაუშვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 1. ტყის სამკურნალო ბალახი; 4. სამეფო დინასტია ინდოეთში (ძვ.წ. IV-IIსს.); 7. აფრიკული ველური ზოლებიანი ცხენი; 9. ცხენის კისრის დასასრული ბეჭების თავთან; 12. ძლიერი მცენარეული შხამი; 13. ... დეპარდიე; 14. მოხალული მარცვლის ფქვილი; 17. დამარილებული ან შებოლილი ღორის ხორცი; 18. მოწმობა, წერილობითი ცნობა; 19. იდუმალი რამ; 20. მათემატიკური ორწევრი.

შვეულად: 1. მთავარი საწყობი; 2. გულიდან გამომავალი მთავარი არტერია; 3. გერმანული ავტომობილი; 4. ტროპიკული ხილი; 5. ისტორიული სახელმწიფო კავკასიაში; 6. ფრანგული სქელი საწებელი; 8. ზოგი სახელმწიფოს გარკვეული ვადით არჩეული მეთაური; 10. ჯარის თანმხლები ნაწილი, რომელიც მას იცავს; 11. სისხლის სამართლის დანაშაული; 14. ზღვის წვრილი თევზი; 15. შეტყობინება, 16. სპორტის სახეობა.

შეადგინა ოლივერ კოხიამ